ვაილდრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ივლისი **ოთხშაბათი** 2009

№ 174(12853) ფასი 60 თეთრი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა





# შუმახერი ბრუნდება?



მასას შემცვლელად ალონსოც განიხილება

ფორმულა 1 » გვერდი 16

## მთავარია, შანსები გამოვიყენოთ

» გვერდი 3

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# იაშვილის გოლი





## მეჯირს დასჯიან

» გვერდი 5 ლეგიონი



## წადით!

პელეგრინიმ ტრიოს კარისკენ მიუთითა

» გვერდი 7



# თბილისიდან სპარტაკში ფაქსი მივიდა...

## ხომ არ ატყუებენ რუსები ჯანოს?

» გვერდი 2

ეროვნული ნაკრები

# თბილისიდან სპარტაკში ფაქსი მივიდა...

## ხომ არ ატყუებენ რუსები ჯანოს?

მალტასთან 12 აგვისტოს საგარეო ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ გუნდში გამოძახებულია **ჯანო ანანიძეც**. მის გადაბირებას რუსები არაერთხელ შეეცადნენ, მაგრამ 16 წლის ქართველი ვირტუოზისგან უარი მიიღეს. რუსებს სურთ, ჯანო თავიანთი ეროვნული ნაკრებისთვის შეიგულონ. თავად ანანიძეც არ მალავს, რომ „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ რუსული პასპორტის აღება სთხოვა. ჩვეულებრივი ამბავია - ანანიძე გუნდში ლეგიონერად რომ არ ჩათვლილიყო (ლიმიტებზე გსმენიათ, ალბათ). რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია. შესაბამისად, თუ უცხოელი რუსეთის მოქალაქე ხდება, რუსული პასპორტის აღებამდე თავისი ქვეყნის პასპორტს ტოვებს. ჰოდა, თუ ჯანო წესების დაცვით (დიახ, წესების დაცვით და აქ ხაზგასმა შემთხვევითი არ არის) გახდება რუსეთის მოქალაქე, მაშინ მას საქართველოს პასპორტის ჩაბარება მოუწევს და ვერ ცერთ აქაურ ნაკრებში ველარ ითამაშებს.

რაც შეეხება „წესების დაცვას". საქმე ისაა, რომ რუსულ პასპორტს ჩვენს „ტკბილ" სამეზობლოში ხშირად აყალბებენ და მსგავსი შემთხვევები ქართველ ფეხბურთელებთან მიმართებაშიც არაერთი ყოფილა.

*„თუ ჯანო ანანიძე რუსულ პასპორტს წესების სრული დაცვით აიღებს, მაშინ ის საქართველოს მოქალაქეობასა და პასპორტს ავტომატურად კარგავს. ასეთ შემთხვევაში ანანიძე მოტყუებული გამოდის და ის საქართველოს ვერც ერთ ნაკრებში ველარ ითამაშებს... ამ შემთხვევაში ყველაფერი თავად ფეხბურთელის გადასაწყვეტია. ჩვენ მას ვერაფერს დავაძალებთ. თუ ანანიძეს სურს ჩვენს ნაკრებში თამაში, მაშინ მან საქართველოს მოქალაქეობაზე უარი არ უნდა თქვას. თავად ფეხბურთელთან და მის მამასთან არაერთხელ მისაუბრია და მათ ერთმანიშვნელოვნად დამიდასტურეს - ჯანო მხოლოდ საქართველოს ნაკრებში ითამაშებსო. ასე რომ, ფეხბურთელს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და ჩვენ მას ეროვნულ ნაკრებში ველით. მოსკოვის „სპარტაკს" უკვე გავუგზავნეთ კიდეც ოფიციალური საბუთი ჯანო ანანიძის ეროვნულ ნაკრებში გამოძახების თაობაზე. ამ დღეებში მისთვის ავიაბილეთს დავჯავშნი და მოსკოვიდან მალტაზე პირდაპირი ავიარეისით ჩაფრინდება. როგორც იცით, კლუბს არა აქვს უფლება ფეხბურთელი შეაფერხოს, რადგან 12 აგვისტო ფიფას მიერ სათამაშოდ გამოყოფილი ოფიციალური თარიღია. ხოლო თუ „სპარტაკი" ჯანოს არ გამოუშვებს, უფლება გვაქვს, მოსკოველებს ფიფაში ვუჩივლოთ და ასეც მოვიქცევით"*, - განგვიმარტა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.



ჯანო ანანიძე

მოკლედ, რუსებმა უკვე იციან, რომ ანანიძე საქართველოს ეროვნულ გუნდში უკვე ოფიციალურადაა გამოძახებული. აქედან გამომდინარე, ჯანოს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით.

*„კლუბიდან დამირეკეს და მითხრეს - თბილისიდან ფაქსი მოვიდა, საქართველოს ნაკრებში ხარ გამოძახებულიო. სხვათა შორის, მომილოცეს. ახლა ვისვენებთ, ამ დღეებში მივალ „სპარტაკის" ოფისში და იმედი მაქვს, არავინ დამაბრკოლებს. რაც შეეხება რუსულ პასპორტს, მინდა, რომ აქ ლეგიონერად არ ჩავითვალო, მაგრამ ამის სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეობას არ დავთმობ, რადგან ვიცი, რომ ეს საქართველოს ნაკრებზე ხელის აღების ტოლფასია"*, - გვითხრა ჯანომ.

**დავით ცაბაძე**

U 17. ამხანაგური მატჩი

# გამარჯვებულის სიმღერა

## კოშაძის დუბლი და საგოლე პასი. ქართველებმა მეტოქე დაინდეს

**საქართველო-ესტონეთი 3:1**

თბილისი. მ. მესხი. 1 500 მაყურებელი

1:0 კოშაძე (10. ტვილდიანის პასით), 1:1 დოლიძე (29-საკ. კარში), 2:1 კოშაძე (24), 3:1 ჭანტურია (78. კოშაძის პასით).

საქართველო: ლეგაშვილი - ზარნაძე, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი - კოშაძე (65. არველაძე), ხუბუა (55. მოგელაძე), ყაზაიშვილი, ხოჭოლავა (48. სხირტლაძე) - ჭანტურია, ხარლამოვი (36. პარუნაშვილი).

*სათადარიგოები:* ტყეშელაშვილი, დრიაევი, მაჭავარიანი, გაჩეჩილაძე

ესტონეთი: ტოკარევი - ინგერმანი, ვიიკნა, მიკკი, პიკკი - რაუდსეპი (40. პიკორი), უსტაალი (27. რანნამაა), ანიერი, ლუიგენდი (53. ლეჰტი) - ელჰი (53. როდიმა), კნიაზევი (62. პიკორი).

*სათადარიგოები:* იენკი, მეტსი, კლემერი, როდიმა

გაფრთხილება: ჭანტურია (61)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

ბოლოს როდის ნახეთ საქართველოს რომელიმე ნაკრები, მეტოქე რომ დაინდო და ერთი ამოსუნთქვით მოუგო? გუშინ სწორედ ეს სურათი ვიხილეთ. **გიორგი დევდარიანის** ხელში 17-წლამდელთა ნაკრებმა მონატრებული ფეხბურთის ფრაგმენტები გვიჩვენა, ის, რასაც ეროვნული გუნდი ვერ ახერხებს. მაგალითად, ეროვნულ ნაკრებში არ არიან **არჩილ ტვილდიანის, რევაზ მაჭავარიანისა** და **კოტე ზარნაძის** დარი აგრესიული მცველები, საიმედო ცენტრალური უკანახაზელები - **გიორგი გაგნიძე** და **ოთარ დოლიძე, ლევან კოშაძისა** და **გიორგი სხირტლაძის** დარი სწრაფი, ეფექტური ფლანგის ნახევარმცველები, **გიორგი ხუბუასავით** შრომისმოყვარე და აზრიანი საყრდენი, პლეიმეიკერ **ვაკო ყაზაიშვილივით** ნატიფი პასების დამრიგებელი, **გიორგი ხარლამოვისა** და **დათი ხოჭოლავასავით** მოძრავი ფორვარდები და **გიორგი ჭანტურიასავით** რთული პოზიციებიდან გამტანი... ან თუნდაც მეკარე **დავით ლეგაშვილი** ავიღოთ, რომელიც გამოსვლებზე საიმედოა და სწრაფი რეაქციითაც გამოირჩევა. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ - ამ ბიჭებს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ სასწავლი და დასახვეწი. ნიჭი, სილაღე, მომთხოვნი, მცოდნე და სამართლიანი მწვრთნელი - ამან ალბათ შედეგი უნდა მოიტანოს. ბევრ მათგანს უცხოეთში დაოსტატების შანსი აქვს. მაგალითად, ჭანტურია „ბარსელონაში" იზრდება, **ლევან არველაძე** დნეპროპეტროვსკის „დნიპროში", ხარლამოვი კი ჰოლანდიურ „ტვენტეში", **დათი ხოჭოლავას** „ემპოლი" იწვევს... ჩვენი ინფორმაციით, ძალზე საინტერესო პერსპექტივა აქვს ყაზაიშვილს...

„ლოკომოტივზე" ესტონეთის 17-წლამდელებთან გამართულმა ორმა შეხვედრამ საკმაოდ ბევრი გულშემატკივარიც მიიზიდა. 1500-მდე მაყურებელს საქართველოს ჩემპიონატის უმრავლეს მატჩებზე ვერ ნახავთ, მაგრამ თბილისში ხმები სწრაფად ვრცელდება და უკვე ბევრმა გაიგო - **გიორგი დევდარიანი** დამაიმედებელ გუნდს ქმნის...

ისევე, როგორც ორი დღის წინათ, ჩვენებმა ესტონელებს კვლავ 3:1 მოუგეს, თუმცა ამჯერად, გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. მართალი აღმოჩნდა დევდარიანი. პირველი მატჩის მეორე ნახევარში ჩვენს ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ და ბევრმა იფიქრა, რომ ფიზიკურად მოუმზადებლები იყვნენ. სინამდვილეში, ესტონეთთან პირველი მატჩი დატვირთვების ფონზე ჩაატარეს, გუშინ კი გამოჩნდა, რომ ბიჭებს ფიზიკურადაც არა უშავთ.

ტვილდიანის მშვენიერი გადაცემით ანგარიში გახსნა კოშაძემ, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა - 1:0. ესტონელებმა წონასწორობა იშვიათი კონტრშეტევისას აღადგინეს - მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი თითქოს მცველებს უნდა მოეგერიებინათ, მაგრამ... **ოთარ დოლიძემ** მოულოდნელად საკუთარ კარში შეაგდო - 1:1.

მასპინძლები ოთხ წუთში კვლავ დაწინაურდნენ - საჯარიმოში მშვენივრად ითამაშა კოშაძემ, ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მცველი და უხერხული მდგომარეობიდან დასცხო, მეკარემ კი ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა - 2:1. კოშაძე მესამე გოლშიც მონაწილეობდა - ამჯერად, მან დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ჭანტურია, რომელმაც რთული სიტუაციიდან ზუსტად დაარტყა - 3:1.

ქართველებმა პირველ ტაიმში გატანილი 3 გოლი იკმარეს, მეტოქე დაინდეს და დარჩენილ დროში ნება-ნება ითამაშეს. მატჩის ბოლოს კი გამარჯვებულებმა გასახდელში გემრიელი სიმღერაც დააგუგუნეს. ნეტავ, მათი კარიერაც და გუნდის საქმეც ისე აეწყოს, ყოველი მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების გასახდელიდან ასეთი გუგუნი ისმოდეს...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ



თემურ მახარაძე: ასეთ სიტუაციაში ფეხბურთელებს შედეგს უცებ ვერც მოვთხოვთ

რვათვიანი უქმობის შემდეგ თემურ მახარაძე აქტიურ ფეხბურთს დაუბრუნდა. გამოცდილმა სპეციალისტმა „ზესტაფონის" მწვრთნელის რანგში გუნდი ბოლოს მოედანზე გასული წლის 30 ნოემბერს, სწორედ ბოლნისის „სიონის" წინააღმდეგ გაიყვანა. დაგვეთანხმებით, ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი პაუზაა და როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა, რომ მახარაძემ საკმაოდ ღარიბი კლუბი ჩაიბარა. ეს პირველი შემთხვევაა მის კარიერაში, აქამდე ყოველთვის შეძლებულ კლუბებში იწვევდნენ - „მერანი", „ლოკომოტივი", მაშინდელი „სიონი" და „ზესტაფონი" მისი მწვრთნელობისას უფულობას ნამდვილად არ უჩიოდნენ. ჩვენი ინტერვიუც სწორედ მახარაძის ამ ნაბიჯზე საუბრით დაიწყო:

# თემურ მახარაძე ჩვენ ჯერ სახელების გუნდი ვართ

## დავითაშვილი, ქემოკლიძე და ალავიძე სიონში დაბრუნდნენ

**- ბატონო თემურ, თქვენ მწირი ბიუჯეტის მქონე „სიონის" წინადადებას დათანხმდით. ეს რით ავხსნათ?**

- წელს არა მხოლოდ „სიონს", არამედ ყველა კლუბს გაუჭირდა, მე კი უფეხბურთოდ ყოფნა არ შემეძლო. რაც შეეხება ფინანსებს... თქვენ სწორი აქცენტი გააკეთეთ - ფეხბურთში ფული ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გსურს, სერიოზული დაფინანსების გარეშე ვერაფერს გახდები. მე კი სწორედ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას ვისახავ მიზნად. მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარი ის არის, რომ საყვარელ საქმეს დავუბრუნდი. სხვა თუ არაფერი, უმუშევრობა საშინელებაა. კარგად ვიცნობ ქალაქს და ბოლნისელებს, რომელთაც ფეხბურთი უზომოდ უყვართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამიტომაც არ მაშინებს ფინანსური პრობლემები. ამავე დროს, ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელობისა და სამხარეო ადმინისტრაციის თავკაცის, დავით კირკიტაძის თანადგომის იმედიც მაქვს. მათ გუნდის შენახვა სურთ და ეს გადამწყვეტი ფაქტორია. ადრე თუ გვიან, კრიზისი მორჩება და ჩვენს კლუბებსაც ეშველებათ.

**- ამჟამად „სიონს" ვინ აფინანსებს?**

- ბოლნისის რაიონი. არსებული თანხებით უნდა დავკმაყოფილდეთ და გუნდის მშენებლობას შევუდგეთ.

**- და რას შეძლებთ მცირე ბიუჯეტით?**

- შევძლებთ ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს, სამომავლოდ კი ამ საფუძველზე ძლიერი კლუბი აშენდება. მნიშვნელოვანია დროის პრობლემაც - 1 აგვისტოს სეზონი იწყება, მე კი ორი დღის წინათ დავინიშნე და გუნდს სახელდახელოდ ვაყალიბებ. სხვა გზა არ არის.

**- რისი შეცვლა მოასწარით იმ ორ დღეში, რაც მთავარი მწვრთნელი გახდით? პირველ რიგში, საკადრო ცვლილებები გვაინტერესებს...**

- საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ ბაქოს „ოლიმპიკთან" და 3:1 მოვიგეთ. გუნდზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. ბევრი წავიდა, რამდენიმე მოთამაშე დავაბრუნეთ... მოკლედ, კომპლექტაცია გრძელდება.

**- ალეკო გოგობერიშვილი რამდენ ხანს დარჩება ბოლნისში?**

- პირველ წრეში დაგვეხმარება. შევთანხმდით, რომ „სიონში" 6 თვე ითამაშებს, მეორე წრემდე კი დავილაპარაკებთ და ამის მერე გადავწყვეტთ, რა და როგორ იქნება. დავაბრუნე კლუბიდან გაშვებული რამდენიმე ფეხბურთელიც - სულიკო დავითაშვილი, არჩილ ალავიძე და რევაზ ქემოკლიძე. დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭები ამ სეზონში დიდ სამსახურს გაგვიწევენ. ამის თქმის უფლებას მათი გამოცდილება და კლასი მაძლევს.

**- მართალია, თითქოს „სიმურგიდან" წამოსული მიხეილ მახვილაძეც დაიმატეთ?**

- დიახ, ის ჩვენთან ვარჯიშობს. მისმა მოსვლამ ძალიან გამახარა. მახვილაძე გამოცდილი ფეხბურთელია და დაცვას თავის ხელს დაატყობს. ამას გარდა, დავიმატეთ მეკარე ზვიად სტურუაც, გოგი ფიფია ჩემს დანიშვნამდე მოიყვანეს, „გაგრადან" მოვიდა ლაშა ნოზაძე...

**- ამ ფეხბურთელებით ნამდვილად შესაძლებელია ძლიერი კლუბის ჩამოყალიბება...**

- შესაძლებელია, მაგრამ ასე უცებ ეს ვერ მოხერხდება. მოდით, ვთქვათ, რომ დღევანდელი „სიონი" სახელების გუნდია. ახლა დროა საჭირო, რათა ეს გუნდი შეიკრას და შეთამაშდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური მდგომარეობის გამო, „სიონმა" მომზადება ყველაზე გვიან დაიწყო. ამას მთავარი მწვრთნელის ავადმყოფობაც დაემატა, ოთარ კორღალიძე ხომ ორი კვირის განმავლობაში ვერ ავარჯიშებდა გუნდს... ასეთ სიტუაციაში ფეხბურთელებს შედეგს უცებ ვერც მოვთხოვთ. ჩამორჩენა თანდათან, სეზონის მსვლელობისას უნდა აღმოვფხვრათ. მოკლედ, დიდი სამუშაო გველის. აქვე, ოთარ კორღალიძესა და დავით კირკიტაძეს მადლობა უნდა გადავუხადო. ჩემი რვათვიანი უმუშევრობის გამო სწორედ ეს ადამიანები წუხდნენ და მათ თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა

დინამო-ცრვენა ზვეზდა

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# მთავარია, შანსები გამოვიყენოთ

## მერებაშვილს სჯერა, რომ ცრვენა ზვეზდასთან უკეთეს დინამოს ვნახავთ



ევროტურნირებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული გუნდი, თბილისის „დინამო" ხუთშაბათს სახელგანთქმულ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლებს. ეს იქნება ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა. ამ ტიპის მატჩებში, როცა გამარჯვებულის ბედს ორადორი თამაში წყვეტს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გუნდის ლიდერს (ან ლიდერთა ჯგუფს), რომელსაც ერთ კონკრეტულ ეპიზოდშიც კი შეუძლია, თავისი გუნდისთვის ბევრი რამ გადაწყვიტოს...

გიორგი მერებაშვილი „დინამოში" უდავოდ გამორჩეული ფიგურაა, ალბათ, ლიდერიც. როგორც ვწერდით, „მეტალურგსთან" თბილისურ მატჩს „ცრვენა ზვეზდას" წარმომადგენელი ნებოშა მილოშევიჩი დაესწრო და გასაკვირი არ იყო, რომ აღფრთოვანებული დარჩა მერებაშვილით, რომელმაც დუბლიც შეასრულა და ისედაც მთავარი მამოძრავებელი ძალა გახლდათ მასპინძელთა კრებულისა.

ვნახოთ, როგორ ელოდება მერებაშვილი „ცრვენა ზვეზდასთან" მატჩს. უეჭველია, რომ ბელგრადული გრანდი „მეტალურგსის" ტოლი ვერ იქნება თუნდაც იმის გამო, რომ ყოფილი იუგოსლავიისა და ლატვიის საფეხბურთო ტრადიციებს შორის ძალიან დიდი უფსკრულია. ექსიუგებს, მეტ-ნაკლები დოზით, ის ძველი ისევ მოსდევთ და გასაგებია, თუ რაოდენ სერიოზულ მეტოქესთან ელის შეხლა ქართული ფეხბურთის ფლაგმანს...

ახლა კი ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან...

- ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ციკლში „დინამოს" ლიეპაიას „მეტალურგსზე" ბევრად ძლიერი „ცრვენა ზვეზდა" ელოდება, რაც საქართველოს ვიცე-ჩემპიონისგან გაცილებით მეტ კონცენტრაციასა და სიფრთხილეს მოითხოვს...

- ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „ცრვენა ზვეზდა" სერბეთში იგივეა, რაც საქართველოში თბილისის „დინამო". ჩვენი მეტოქე არა მარტო სერბეთში ან ყოფილ იუგოსლავიაში, არამედ, ევროპულ ფეხბურთშიც დაფასებული გუნდია, თავის დროზე ჩემპიონთა ლიგაც მოიგო... მოკლედ, ტიტულოვან გუნდთან მოგვიწევს დაპირისპირება. მეტოქის მდიდარი წარსული ნამდვილად არ გვაშინებს, შესანიშნავი ისტორია აქვს თბილისის „დინამოსაც". და ეს ისტორია არ უნდა შევარცხვინოთ, მაქსიმუმს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ გულშემატკივარი გავახაროთ. არავინ დაეჭვებულა იმაში, რომ მიუხედავად „მეტალურგსთან" პირველ მატჩში მარცხისა, „ცრვენა ზვეზდასთან" ბრძოლის უფლება დამსახურებულად მოვიპოვეთ. გაცილებით მეტი სხვაობით უნდა მოგვეგო და აქვე მინდა ვთქვა ჩვენს ნაკლზე - მიხვდით, ალბათ, ვგულისხმობ საგოლე მომენტების გამოუყენებლობას. ამიტომ, „ცრვენა ზვეზდასთან" მატჩის წინ სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

**- საგოლე მომენტების რეალიზაცია ახსენეთ და, „მეტალურგსთან" შეხვედრაში იმ მანძილიდან ალბათ ბევრი არ დაარტყამდა კარში...**

- ჯერ კიდევ ლატვიურ მატჩში დავრწმუნდი, რომ მეტოქის მეკარე დიდი საიმედოობით არ გამოირჩეოდა და გადავწყვიტე, შორი მანძილიდან ხშირად დამერტყა. იმ ეპიზოდშიც ასე იყო - დავინახე, რომ მეკარე სიტუაციას ვერ აკონტროლებდა და შორიდან ძლიერად დავარტყი, დავარტყი და გავიტანე კიდეც. მგონი, არ იყო ცუდი გოლი...

**- იმ თამაშს „ცრვენა ზვეზდას" წარმომადგენელი დაესწრო და თქვენ გამოგარჩიათ, სხვათა შორის, არა მარტო დუბლის გამო...**

- რა გითხრათ... ბედნიერი ვიქნები, თუ ბელგრადელთა რომელიმე წარმომადგენელი „ცრვენა ზვეზდასთან" ორივე მატჩის შემდეგ გამომარჩევს. ძალიან მინდა, გოლებით მათაც დავამახსოვრო თავი და საერთოდაც, ამ თამაშებში „დინამო" ისე კარგად უნდა წარმოვაჩინოთ, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი დიდხანს ახსოვდეთ.

**- მაინც რა უნდა იყოს „დინამოს" კოზირი სერბებთან მატჩებში?**

- ჩვენი კოზირი ჩვენი სტილია, ის, როგორც ვთამაშობთ. მეტოქის თამაში ნახა გია ჯიშკარიანმა, რომელიც „ცრვენა ზვეზდასა" და სლოვენიური „რუდარის" ბელგრადულ მატჩს (4:0) დაესწრო. დარწმუნებული ვარ, მან კარგად შეისწავლა ჩვენი მომავალი ოპონენტის ყველა პლუს-მინუსი. შესაბამისად, მთავარია, სერბებთან მატჩებში მწვრთნელის დავალებები შევასრულოთ. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია გულშემატკივრის ფაქტორი. „რუდართან" ხსენებულ მატჩს ბელგრადში 25 ათასი ქომაგი დაესწრო. ასე რომ, ჩვენს გულშემატკივრებსაც მოვუწოდებ, 30 ივლისს მხურვალედ გვიქომაგონ და მჯერა, ასეც იქნება, ყიჟინა არ მოგვაკლდება. როგორც ამბობენ, გულშემატკივარი მე-12 მოთამაშეაო და იმედია, ამ ფუნქციას ჩვენი ქომაგებიც შეასრულებენ.

**- უკვე ილაპარაკეთ საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალ პროცენტზე. როგორ ემზადებით ამ კუთხით...**

- რა თქმა უნდა, ამ მხრივ დამატებითი ვარჯიშები ნამდვილად არ გვაწყენდა. საგოლე მომენტების გამოყენების მაღალ მაჩვენებელს რომ მიაღწიო, საკუთარი ძალების რწმენაც უნდა გქონდეს. სწორედ ეს რწმენა შეგვმატა მომდევნო ეტაპზე გასვლამ. ვფიქრობ, ყველა პირობაა იმისთვის, რომ „ცრვენა ზვეზდასთან" უკეთ ვითამაშოთ.

**დავით ცაგაძე**

## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს, თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს, სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და თასის პრიზიორს, „დინამოს" ყოფილ მწვრთნელს, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ყოფილ უფროსს, ღირსების ორდენის კავალერს ვლადიმერ ბარქაიას.




ზესტაფონი

# კოკაია ადასტურებს: ჰელსინგბორგი ლობჟანიძეზე დაგველაპარაკა...

## კორღალიძემ ზესტაფონთან კონტრაქტი გააფორმა

ხმა გავრცელდა, „ზესტაფონთან" ნათამაშები „ჰელსინგბორგი" ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესდაო. ჩვენი ინფორმაციით, შვედების ინტერესთა სფეროში ეროვნული ნაკრების მარჯვენა მცველი **უჩა ლობჟანიძე** მოხვდა. თავის ფლანგზე ის შეტევების ორგანიზატორადაც გვევლინებოდა. პლუს ამას, ლობჟანიძეს ეროვნულ ნაკრებში უკვე 10 მატჩი აქვს ჩატარებული, რაც მის დოსიეში მნიშვნელოვანი სტრიქონია. ამიტომაც არ არის გასაკვირი მის მიმართ ინტერესი.

სიტუაციაში გარკვევა თავიდანვე ლობჟანიძესთან ვცადეთ. აი, რა გვითხრა მან: *„შვედეთში მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. მეც კმაყოფილი ვარ საკუთარი გარჯით. სიმართლე გითხრათ, „ჰელსინგბორგის" დაინტერესებაზე არაფერი მსმენია".*

ინტერნეტში მსგავსს ვერაფერს წავაწყდით. არაფერს ამბობს „ჰელსინგბორგის" ოფიციალურ ვებგვერდიც (ტრადიციულად, საკლუბო საიტები მხოლოდ გადაწყვეტილ ტრანსფერებს ახმაურებენ). ვერაფერი გვითხრეს ზესტაფონური კლუბის პრესსამსახურშიც. ბოლოს ფეროელთა პრეზიდენტ **ილია კოკაიას** დავუკავშირდით.

*„გარკვეული ინტერესი იყო, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ „ჰელსინგბორგს" უჩა ლობჟანიძის გადაბირება ახლავე სურს. სკანდინავიელებთან მატჩის შემდეგ ამ თემაზე ვილაპარაკეთ, თუმცა ჯერჯერობით, ამ ამბავს გაგრძელება არ მოჰყოლია. ჩვენ ძლიერ გუნდს ვქმნით და გვინდა, გაისად ევროტურნირებზე უფრო წარმატებით ვიასპარეზოთ"*, - გვითხრა კოკაიამ.



უჩა ლობჟანიძე

„ზესტაფონთან" დაკავშირებით ერთი ინფორმაციაც გვაქვს. **ლევან კორღალიძემ**, რომელმაც უკვე რამდენჯერმე ივარჯიშა ზესტაფონელთა გუნდში, გუშინ მოლდოვიდან სატრანსფერო ფურცელი მიიღო და გუშინვე „ზესტაფონთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**დავით ცაგაძე**

გაგრა



აბაიომი ოვონიკოკო

# დეპორტაცია

## გაგრა და დინამო პირველ ტურს გამოტოვებენ?

„გაგრა“ სეზონისთვის მზადებას ამთავრებს. უკრაინელმა მთავარმა მწვრთნელმა **ვიქტორ კაშჩეიმ** საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გასინჯა, მერე განსაჯა და როგორც შევიტყვეთ, ბევრ მათგანს კარისკენაც მიუთითა.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, გუნდის დაკომპლექტება 29 ივლისს დასრულდება და სასურველ ფეხბურთელებს კონტრაქტებს გაუფორმებენ. გუნდში სულ 8 ახალწვეულს სინჯავდნენ. როგორც „გაგრას“ პრესატაშე **მიხეილ აფხაზავამ** გვითხრა, ხელშეკრულებას გაუფორმებენ ოთხ ფეხბურთელს - მეკარე **ლადო ნადირაშვილს**, ცენტრალურ მცველ **თორნიკე შალიკაშვილს**, საყრდენ ნახევარმცველ **სერგეი ბერბატსა** და თავდამსხმელ **შალვა კვანტალიანს**.

ბათუმური შეკრების შემდეგ, კაშჩეიმ ოთხიდან სამი ნიგერიელი დაითხოვა - **ფელიქს ატერე, ოფური უზუ, ბილი ოლუდარე**. „გაგრაში“ მხოლოდ **აბაიომი ოვონიკოკო** დარჩა.

უკრაინელებიდანაც მხოლოდ ერთი - სერგეი ბერბატი დატოვეს. გაგრელთა დამრიგებელი **სერგეი კოლესნიკზეც** ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ უარი თქვა. ამას გარდა, კაშჩეი **თენგიზ ჩიკვილაძისა** და **დავით მჭედლიშვილის** დამატებას იმედოვნებდა. რუსთავის „ოლიმპიდან“ წასვლის შემდეგ ჩიკვილაძე ბოლნისის „სიონში“ ვარჯიშობს, მჭედლიშვილი კი „ამერის“ ფეხბურთელია.

აფხაზავამ ჩიკვილაძისადმი ინტერესი დაადასტურა, მაგრამ ტრანსფერი გამორიცხა, რადგან ფეხბურთელმა „სიონში“ საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და, სავარაუდოდ, ბოლნისში დარჩება. სამაგიეროდ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები 19 წლის მჭედლიშვილის აყვანაზე რეალურად ფიქრობენ. ის ამჟამად „გაგრაში“ ვარჯიშობს და მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებას ელოდება. გაურკვეველი ვითარებაა „ამერის“ კიდევ ორ ფეხბურთელთან მიმართებაშიც - კაშჩეი **გიორგი ელბაქიძესა და გიორგი სილაგავასაც** აკვირდება. ნათელი უნდა მოეფინოს ტირასპოლის „შერიფის“ ყოფილი ფეხბურთელების - **ვალტერ და პავლე ხორგუაშვილების** ტრანსფერებსაც.

სხვათა შორის, დიდია ალბათობა, რომ 2 აგვისტოს „დინამო“-„გაგრას“ პირველი ტურის მატჩი არ გაიმართოს. საქმე ის არის, რომ 30 ივლისს საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლებს. ამიტომაც სთხოვეს „დინამოს“ მესვეურებმა თამაშის გადადება გაგრელ კოლეგებს.

*„ჩვენ გავითვალისწინეთ „დინამოს“ თხოვნა, რადგან საქმე საქართველოს სახელს ეხება და გუნდს მხარში დავუდექით. ოღონდ, „დინამომ“ „ცრვენა ზვეზდასთან“ მოიგოს და, მატჩის გადადებას „გაგრა“ პრობლემად არ აქცევს“*, - გვითხრა პრესატაშე აფხაზავამ.

მალე „გაგრას“ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები დაუბრუნდებიან - **ილია პავლიაშვილი, ვანო კილაძე, რევაზ თევდორაძე** (სამივე ახალგაზრდული ნაკრები), **ბიჭიკო გედენიძე** და **თორნიკე თუხარელი** (19-წლამდელები).

„გაგრამ“ ბოლო საკონტროლო შეხვედრა 23 ივლისს, „სამტრედიასთან“ გამართა და 1:2 წააგო. ჩემპიონატის პირველ ტურამდე სხვა ტესტმატჩი არ იგეგმებოდა, მაგრამ რაკი 2 აგვისტოს შეხვედრა შეიძლება გადაიდოს, ასეთ შემთხვევაში ამხანაგური თამაშის გამართვას აზრი ნამდვილად ექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლოკომოტივი

# გაბიდაური შეიძლება, მაგრამ ქებაძე...

ახალი სეზონისთვის მზადების პროგრამით თბილისის „ლოკომოტივმა“ ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა. **გელა სანაიას** გუნდი „გაგრას“ დუბლებს გაეჯიბრა და 4:1 მოიგო. დედაქალაქელთაგან თითო გოლი **ტიკურიშვილმა** და **აფხაზავამ** გაიტანეს, **გონაძემ** კი დუბლი შეასრულა. „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ქვილითაია, ნ. გუშარაშვილი, ქურდაძე, გ. კვანტალიანი, ბებუა, გაბიდაური, ტიკურიშვილი, ლ. ქებაძე, ა. სუხიაშვილი, გონაძე, დ. ჩარგეიშვილი.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **ს. მიქაძე, ჯალიაშვილი, დ. სოსელია, აფხაზავა, ბ. მახარაძე.**

როგორც ხედავთ, „ლოკომოტივის“ რიგებში ახალციხის „მესხეთის“ ორმა ფეხბურთელმა - ნახევარმცველებმა, **გიორგი გაბიდაურმა** და **ლაშა ქებაძემ** იასპარეზეს. თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა სანაიამ გვითხრა - ქებაძის დარჩენის საკითხი ჯერ კიდევ საეჭვოაო, ხოლო რაც შეეხება გაბიდაურს, ის ალბათ „ლოკომოტივში“ ითამაშებსო.

დღეიდან გუნდთან ერთად განაახლებენ ვარჯიშს მცველი **გიორგი ხატიაშვილი** და თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე**. შეგახსენებთ, რომ ამ ბიჭებმა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე 21-წლამდელთა ნაკრებში იასპარეზეს.

ბოლოს კი დავძენთ, რომ „ლოკომოტივი“ XXI ჩემპიონატის პირველ მატჩს 2 აგვისტოს, „ზესტაფონთან“ სტუმრად გამართავს.

**დავით ცაბაძე**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | კვალინიძე (?) | კახელიშვილი (ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან, თბილისში<br>სიმურგი 3:3<br>24 ივნისიდან უკრაინაში<br>კრივბასი 0:0, ელიოსი 2:0<br>ტავრია 2:3<br>კრიმტეპლიცა 4:1<br>სტალი 1:4<br>მარიბორი 0:0<br>მარიბორი 1:3 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | ოვონო (ლემანი, საფრანგეთი), გველესიანი (?), ტომიჩი (?), სპასოევიჩი (?), ჯუისი (?) | სომხიშვილი (მგლები), დოლიძე (სიმურგი, აზერბაიჯანი) | 8 ივნისიდან თბილისში,<br>28 ივნისიდან გერმანიაში<br>ზელბიცი 3:1, პიოსნეკი 2:1,<br>ჰესენ კასელი 2:2,<br>კარლ ცაისი 0:0<br>მეტალურგსი 1:2<br>მეტალურგსი 3:1 |
| ოლიმპი<br>ოთარ კორღალიძე | ვ. კილასონია (მთ. მწვრთნელი), მეგრელაძე, გ. ონიანი (ზესტაფონი), დეკანოსიძე, გ. ნოდარის ძე ჭელიძე, ქუცურუა, ახალაია, აკუასაგა, სტურუა, ფიფია, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, სირბილაძე, ჩიკვილაძე (ხუთივე სიონი), მიკუჩაძე, გილაური, სეთურიძე, გ. ჩხეტიანი | ზ. ჭელიძე (სიონი, იჯარით), ლომიძე (ლოკომოტივი), ალექს ფრაგა, ჟოზე ჩოკო, ჟონატას კარდოზო, ანდერსონ აკინო, ჟერონიმო (ხუთივე ატლეტიკო პარანაენსე), გრ. ჭანტურია (სიონი), ფოფხაძე (ლოკომოტივი), ს. თოდუა (ზესტაფონი), ჭედია (მგლები), | 10 ივნისიდან რუსთავში<br>სიმურგი 2:1 სიმურგი 3:2,<br>თბილისი 7:3, სიმურგი 0:0<br>ბ 36 2:0, 2:0, ლეგია 0:3,<br>სიონი 4:1, ლეგია 0:1 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | კაკალაძე, კვესიეშვილი (ორივე - სამტრედია), ლ. მელქაძე, ბოიომო (ორივე სპარტაკი), ჩასემი (?), ს. თოდუა (ოლიმპი) | აფციაური (გაბალა, აზერბაიჯანი), გ. ონიანი (ოლიმპი), დვალი (დაჩია, მოლდოვა), ელიავა (სკონტო, ლატვია), მეშველიანი, ცხადაია (გაგრა), ლ. კორღალიძე (დაჩია, მოლდოვა) | 1 ივნისიდან ზესტაფონში,<br>12 ივნისიდან სლოვენიაში<br>პოლონია 1:1 (შეწყდა),<br>პოლონია 2:2, მარიბორი 1:1,<br>გორიცა 0:0, ლისბერნი 5:1, 6:0,<br>ჰელსინგბორგი 1:2<br>ჰელსინგბორგი 2:2 |
| სიონი<br>თემურ მახარაძე | ო. კორღალიძე (მთ. მწვრთნელი, ოლიმპი), ზ. ჭელიძე (ოლიმპი, იჯარით), ალადაშვილი (კარიერა დაასრულა), შალამბერიძე, დიდავა, რ. გოცირიძე (სამივე სპარტაკი), შავგულიძე, ჯ. მუჯირი, კაკაშვილი, შენგელია, გრ. ჭანტურია (ოლიმპი) | თ. მახარაძე (მთ. მწვრთნელი), იმედაძე (ტორპედო), ქურასბედიანი, ოქროპირიძე, (ორივე - სპარტაკი), ა. ალავიძე (უგუნდოდ), ზ. ავალიანი (უზბეკეთი), ზუხბაია (?), რაქვიაშვილი (მგლები), ფიფია, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, სირბილაძე, ჩიკვილაძე, სტურუა (ხუთივე ოლიმპი), გოგობერიშვილი (ოლიმპიკი, აზერბაიჯანი), მახვილაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი) | 21 ივნისიდან - ბოლნისში<br>სპარტაკი 3:1<br>IBSU 2:2, გაგრა 2:1,<br>ლოკომოტივი 1:2,<br>ოლიმპი 1:4<br>სიმურგი 0:1<br>ოლიმპიკი 3:1 |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | ზამთარაძე, კიკნაძე (მთავარი მწვრთნელები), კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია), ლომიძე (ოლიმპი), ჩირიკაშვილი (სპარტაკი), გ. ლომაია (ინტერი, აზერბაიჯანი), შ. კვანტალიანი (გაგრა), დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე (უზბეკეთი), ფოფხაძე (ოლიმპი), ბარბაქაძე | სანაია (მთავარი მწვრთნელი), ხატიაშვილი, ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე, გვაძაბია (ოთხივე ამერი), ქვილითაია (მარტვილი), შ. ჯიქია (სპარტაკი) | 22 ივნისიდან - თბილისში<br>სიონი 2:1,<br>17-წლამდე ნაკრები 0:1<br>სპარტაკი 1:1, გაგრა 2 4:1 |
| გაგრა<br>ვიქტორ კაშჩეი | კოზლენკო, ცხადაძე (სპარტაკი), ლ. ნოზაძე, ცხადაია (ზესტაფონი), ჩარგეიშვილი | პავლიაშვილი (ბორჯომი), შ. კვანტალიანი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე სამტრედია), ნადირაშვილი (ამერი), ბერბატი, (ორივე - უკრაინა), კილაძე (გურია), ელბაქიძე, მჭედლიშვილი, სილაგავა (სამივე ამერი) | 15 ივნისიდან თბილისში,<br>21 ივნისიდან ურეკში<br>სამტრედია 1:0, სამტრედია 2:2<br>კოლხეთი (ფ) 1:1, მგლები 2:0,<br>სპარტაკი 2:3, სიონი 1:2,<br>მგლები/ბაია 1:2<br>სამტრედია 1:2 |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | გაბელაია (მთავარი მწვრთნელი), სირბილაძე, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (სამივე - სიონი), მეტრეველი, გ. იაშვილი, თურმანიძე, შ. ლონლაძე, კოდალაევი, მგალობლიშვილი, თარხნიშვილი, ჯანგიძე, ბ. ხაჭიპერაძე, ქორიძე (სამივე სამტრედია), შ. ჯიქია (ლოკომოტივი) | ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი), ჩირიკაშვილი (ლოკომოტივი), ბათიაშვილი (მესხეთი), ბოიომო (ზესტაფონი), ჩალაძე (მარტვილი), კბილცეცხლაშვილი (თბილისი), შალამბერიძე (სიონი), ცხადაძე (გაგრა), კეტაშვილი (ყაზახეთი), შ. ჯიშკარიანი (აზერბაიჯანი), დიდავა, რ. გოცირიძე (ორივე სიონი), შეყრილაძე (ბორჯომი), ლ. დეკანოსიძე (ბატე, ბელარუსი), გვენცაძე (ამერი), გოგინაშვილი (ბელარუსი), ოდიკაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), ლ. მელქაძე (ზესტაფონი), | 20 ივნისიდან თბილისში<br>სიონი 1:3, გაგრა 3:2, IBSU 3:2<br>ახალგაზრდული ნაკრები 4:6,<br>ლოკომოტივი 1:1,<br>ოლიმპიკი (აზერბაიჯანი) 1:1 |
| მგლები/ბაია<br>ბესიკ შეროზია | სომხიშვილი (დინამო), ბაკარანძე (სამტრედია), რაქვიაშვილი (სიონი), ჭედია (ოლიმპი), ჯოჯუა (?), მალიჩავა, ჟიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, ჭითანავა, ჭკადუა, ინჯგია, პ. დათუნაიშვილი | მაქაცარია, ზ. ექონია, გუგუჩია, პაჭკორია, ზარქუა, კვეკვესკირი, სვირავა, ქვარცხავა, აფაქიძე, ჟვანია, ვართაგავა, გ. ქირია, ნ. შონია, სიხარულია, წურწუმია, დ. კუტალია, რაფავა, ძალამიძე (ყველა - ბაია), ხუციძე (ამერი), ჩისამბა ლუნგუ (ზამბია), ჯეკ დენიელი (კამერუნი), ბოადი (განა), შიჩკინი (ასტრახანი, რუსეთი), რ. ჯიქია, ისამა სილვეი | 15 ივნისიდან - ზუგდიდში,<br>1 ივლისიდან - ურეკში<br>გაგრა 0:2, ბათუმი 0:0, სამტრედია 3:1, გაგრა 2:1, მერცხალი 3:2,<br>სიმურგი 0:1 |
| სამტრედია<br>ვალერიან ჩხარტიშვილი | ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - გაგრა) | ბაკარანძე (მგლები), (გურია), კაკალაძე, კვესიეშვილი (ორივე - ზესტაფონი), ჩომახიძე (მარტვილი), ხარძეიშვილი (ხობი), ლ. ვაშაკიძე (მესხეთი), ფირცხალავა (ზაკარპატიე, უკრაინა), ქორიძე ბ. ხაჭიპერაძე, ჯანგიძე (სამივე სპარტაკი), ბენდელიანი (ამერი), ტყებუჩავა, ჯოჯუა, კვერენჩხილაძე | 20 ივნისიდან სამტრედიაში<br>გაგრა0:1, გაგრა 2:2,<br>მგლები\ბაია 1:3, გაგრა 2:1<br>მარტვილი 3:0 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით გამოყოფილია გადაწყვეტილი ტრანსფერები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



დავით დევდარიანი

## დევდარიანი დაბრუნდა

„ორჰუსის" 21 წლის შემტევი ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** გამოჯანმრთელდა და მოედანს დაუბრუნდა, მან სეზონის სადებიუტო მატჩი ითამაშა „რანდერსის" წინააღმდეგ. დევდარიანს ტრავმის გამო ტესტმატჩები და სასლიგის პირველი ტური გაუცდა. „რანდერსთან" გასვლით მატჩში ქართველი სათადარიგო იყო და ის მწვრთნელმა 90-ე წუთზე შეიყვანა **ბენი ფეილჰაბერის** ნაცვლად. მსაჯმა თამაშს 4 წუთი დაამატა, რომლის განმავლობაში მასპინძლებმა შეძლეს ერთი გოლის გატანა, თუმცა „ორჰუსი" საბოლოოდ მაინც გამარჯვებული დარჩა - 3:2.

სხვათა შორის, დევდარიანის გუნდი უკვე ერთპიროვნული ლიდერია სასლიგაში, ორი თამაშიდან მხოლოდ „ორჰუსს" აქვს ქულათა მაქსიმუმი. შეგახსენებთ, რომ ქართველი ლეგიონერი **ექტორ კუპერმა** 12 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის (მალტის წინააღმდეგ) ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

არშემდგარი ტრანსფერი

## სპასოევიჩი არმინიამ დაიწუნა

ბილეფელდის „არმინიამ" დაიწუნა თბილისის „დინამოს" 21 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი **ილია სპასოევიჩი**. სპასოევიჩს დიდის ამბით დახვდნენ „არმინიაში", იქაური „ბილეფელდ დირექტი" წერდა, ჩვენს გუნდში ისეთი ფორვარდი მოვიდა, რომელმაც თბილისის „დინამოში" 40 თამაშში 30 გოლი გაიტანაო. ილია 1-ელი ივლისიდან ემზადებოდა გუნდთან ერთად, მან რამდენიმე ტესტმატჩშიც ითამაშა, მაგრამ საბოლოოდ დაიწუნეს ალბანელ **ბესარტ ბერიშასთან** („ბარნლი") ერთად:

*„ბერიშას კიდევ დარჩა მცირე შანსი, რომ „არმინია" დაიტოვებს, აი, „დინამოს" ფორვარდი ილია სპასოევიჩი კი უკვე სახლშია. ორივე ფეხბურთელმა ვერ დააკმაყოფილა გუნდის მოთხოვნები"*, - წერს „ბილდი".

ნიკოლოზ ნეფარიძე

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქუთაისის „ტორპედოსა" და სოხუმის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი

**გენადი ზარია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ახალი თაობა

ბაქარ მირცხულავა

# რონალდოს მენეჯერის ქართველი კლიენტი

17 წლის ცენტრალურმა მცველმა ბაქარ მირცხულავამ გასული სეზონი ლისაბონის „ბენფიკას" 17-წლამდელთა გუნდში გაატარა. სეზონის დასრულების შემდეგ კი ახალგაზრდა ფეხბურთელი „ბენფიკას" დუბლებში გადაიყვანეს. ბაქარი რამდენიმე დღით სამშობლოში იმყოფებოდა. მას ლისაბონში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ.



ბაქარ მირცხულავა

**- რამდენად კმაყოფილი ხართ „ბენფიკას" იუნიორთა გუნდში გატარებული პირველი სეზონით?**

- თითქმის ყველა შეხვედრა ძირითადში ვითამაშე, გამოცდილებაც მივიღე და ბევრი საფეხბურთო ნიუანსიც დავხვეწე, მაგრამ ჩემი თამაშითა და გუნდის შედეგით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ჩვენს ასაკში პირველ ადგილს ვუმიზნებდით, მაგრამ ჩემპიონები ვერ გავხდით.

**- ახალ სეზონშიც 17-წლამდელთა გუნდში იქნებით?**

- ჩემპიონატის შემდეგ კლუბის კრება ჩატარდა და მითხრეს, რომ ახალ სეზონში „ბენფიკას" დუბლებში ვითამაშებ. დუბლებში გასულ ჩემპიონატშიც ჩავატარე რამდენიმე შეხვედრა. ახლა კი ამ გუნდის წევრი ვიქნები. „ბენფიკასთან" 3-წლიანი ხელშეკრულება მაქვს და თუ თავს გამოვიჩენ, 18 წლის რომ გავხდები შესაძლოა პროფესიულ კონტრაქტსაც მოვაწერო ხელი.

**- ცნობილია, რომ საკმაოდ ცნობილ მენეჯერთან გაქვს კონტრაქტი...**

- დიახ, ჩემი მენეჯერი კრისტიანო რონალდოს, რაფაელ მარკესისა და რიკარდო კარვალიოს აგენტი ჟორჟე მენდეშია და მასთან 2-წლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული.

**- უკეთეს გუნდში გადაყვანას ხომ არ გპირდება?**

- ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, თუ კარგად ვითამაშებ, უკეთესი გუნდებიც დაინტერესდებიან. ისე, რაც „ბენფიკაში" ვარ, სხვა შემოთავაზება არ მქონია. იქამდე „ლე მანის", „შტუტგარტისა" და მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდების ვარიანტები მქონდა. მთავარია, „ბენფიკაში" გამოვიჩინო თავი და აქაური ყოფითაც კმაყოფილი ვარ.

**- ახალი სეზონისთვის მზადებას როდის იწყებთ?**

- 27 ივლისს ლისაბონში ვიკრიბებით. შემდეგ კი შეკრებაზე, ალბათ, ესპანეთში გავემგზავრებით.

**- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში სისტემატურად თამაშობდით, თუმცა ბოლო შეხვედრებში არ გამოჩენილხართ და არც ახლა ხართ თბილისურ შეკრებაზე. ეს რით ავხსნათ?**

- მე ყოველთვის მზად ვარ ასაკობრივ ნაკრებში სათამაშოდ, მაგრამ ეტყობა, ამ ეტაპზე მწვრთნელები ჩემს გამოძახებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ. იმედია, სამომავლოდ სანაკრებო დონეზე ისევ მომეცემა თავის გამოჩენის შანსი.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ისტორიის ახალი ფურცელი

# სამგურალის დაბრუნება

საქართველოს უმაღლესი ლიგის უძველესი ბინადარი, საქართველოს თასის ყოფილი ფინალისტი წყალტუბოს „სამგურალი", რომელიც წლების წინ უფულობის გამო დაიშალა და ქართული საფეხბურთო რუკიდან გაქრა, „სამგურალი 2009-ის" სახელით გვიბრუნდება. იმერეთის ვიცე-გუბერნატორ **ნიკო კაჭკაჭიშვილისა** და წყალტუბოს თვითმმართველობის ხელშეწყობით აღორძინებულ გუნდს სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი მწვრთნელი **ელდარ ჯიმშელეიშვილი**, რომელსაც ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავს შემოკრებილი. წყალტუბოელები მეორე ლიგაში ასპარეზობას გეგმავენ და მოახლოებული სეზონისთვის ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ემზადებიან.

ახლადჩამოყალიბებულ გუნდს წყალტუბოში იმ დროს ვესტუმრეთ, როცა ფეხბურთელები „ტორპედო 2-თან" ამხანაგური შეხვედრისთვის ემზადებოდნენ. კომენტარი ჯერ **ამირან ვარდანიძეს** („სამგურალი 2009-ის" დირექტორი) ვთხოვეთ:

*„წყალტუბოში ნიჭიერი თაობა წამოვიდა და ეს ბავშვები რომ არ დაკარგულიყვნენ, ქალაქის ხელმძღვანელობამ გუნდის გაკეთება გადაწყვიტა. „სამგურალი 2009" რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა და ამ საქმეში ლომის წილი იმერეთის ვიცე-გუბერნატორ ნიკო კაჭკაჭიშვილს მიუძღვის. დიდი სურვილი გვაქვს, მეორე ლიგაში ვითამაშოთ და ეს უკვე იციან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც. გუნდი უკვე შეკრებილია, ამხანაგურ შეხვედრებსაც მართავს და როგორც კი კლუბის ანგარიშზე საჭირო თანხა დაჯდება, ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ფედერაციას უკვე ოფიციალურად მივმართავთ. ქალაქის ხელმძღვანელობა და საკრებულო ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ის ტრადიციები დაბრუნდეს, რაც წყალტუბოს „სამგურალს" გააჩნდა"*.

**ელდარ ჯიმშელეიშვილი** (მთავარი მწვრთნელი): *„გუნდი ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. მათ გამოცდილება აკლიათ, მაგრამ სამაგიეროდ აქვთ დიდი ენთუზიაზმი. ეს მათთვის თავის გამოჩენის შანსია. 3 ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ - ლანჩხუთში „გურიას" 3:1 მოვუგეთ, ქუთაისის „ტორპედოსთან" 2:2 ვითამაშეთ, „ტორპედო 2-თან" კი - 1:1. ბიჭები მონდომებულები არიან, რაც მაძლევს იმედს, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება"*.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან



სამგურალი 2009 იწყებს...

ლეგიონი



ალექსანდრე იაშვილი

## მუჯირი დაისჯება

### იაშვილი: კაპიტნობა და გოლი

შუა აზიაში ამ კონტინენტის ორი წარმომადგენელი ერთმანეთს ევროპის ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო წრეში დაუპირისპირდა. ყაზახეთის ჩემპიონი „აქტობე" და ისრაელის ჩემპიონი ჰაიფას „მაქაბი" უგოლოდ დაშორდნენ პირველ რაუნდში - 0:0. საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ლადო დვალიშვილი** სამჯერ დაემუქრა მასპინძელთა კარს, თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლო. დვალიშვილი 64-ე წუთზე **ბელოთი** შეცვალეს. საპასუხო მატჩის წინ ფავორიტი „მაქაბია".

მართალი გამოდგა „მაქაბის" მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელია**, რომელიც თამაშამდე „აქტობეს" ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში აცხადებდა, თამაში დაძაბული გამოდგება, თუმცა ალბათ იმაში შეცდა, როცა აღნიშნა ორივე გუნდი მაყურებლის მოსაწონ თამაშს აჩვენებსო.

ბაქოში აზერბაიჯანის ჩემპიონმა სოფიის „ლევსკის" უმასპინძლა, გოლი არც ამ შეხვედრაში გასულა. **ამირან მუჯირი** „ბაქის" სასტარტო შემადგენლობაში იყო, **გიორგი ადამია** - სათადარიგოთა სკამზე. მუჯირი აქტიურობდა, სტანდარტულებს ასრულებდა, ორ-სამჯერ კარსაც დაემუქრა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათიც მიიღო. 68-ე წუთზე ის თანამემამულემ შეცვალა. 88-ე წუთზე ადამიასაც შეეძლო გატანა, მაგრამ ააცილა. მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე კი „ბაქის" სუპერმომენტი შეექმნა, ადამიას დარტყმული მეკარემ მოიგერია, იქვე მყოფმა **ბატისტამ** ბურთის დამატება ვერ შეძლო.

მატჩის შემდეგ „ბაქის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ** განაცხადა, რომ ამირან მუჯირი აუცილებლად დაისჯება. საქმე ისაა, რომ როცა მუჯირს ადამია ცვლიდა, მან შესამჩნევად გამოხატა უკმაყოფილება მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო. *„მუჯირი დაისჯება, რადგან ის არასპორტულად მოიქცა. ამ გუნდში მთავარი მე ვარ და არა ის"*, - განაცხადა ხაჯიევსკიმ „აზერისპორტთან" საუბარში.

■ ■ ■

მას მერე, რაც „კარლსრუესთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა, გუნდის ყველა ტესტმატჩში კაპიტანი **ალექსანდრე იაშვილი** იყო. გუშინ 31 წლის ქართველის კაპიტნობა ოფიციალურად გაფორმდა - მისი კანდიდატურა გუნდის საბჭომ მოიწონა. „კარლსრუე" კი ესპანურ „ხეტაფეს" შეხვდა მორიგ სპარინგში და 2:2 ეთამაშა. 50-ე წუთზე იაშვილმა გერმანული კლუბი 2:1 დააწინაურა - კაპიტანი საჯარიმოში **კოზმინ კონტრამ** მოცელა და პენალტი თავად დაზარალებულმა შეასრულა. თუმცა „კარლსრუემ" ეს ანგარიში ვერ შეინარჩუნა. იაშვილი 69-ე წუთზე **ფინკმა** შეცვალა.

„მიუნხენ 1860" ბერძნულ „ქსანთისთან" 2:3 დამარცხდა. **მათე ღვინიანიძეს** არ უთამაშია. „ფრაიბურგმა" კი ფრანგულ „მეცთან" წააგო - 1:2. 19 წლის ქართველი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** 82-ე წუთზე გამოჩნდა **იაგერის** ნაცვლად.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცნაური ამბავი



ჯუზეპე როსი

# რა ხდება როსის თავს?

გუშინ, გვიან ღამით „მილანის" ოფიციალურ საიტზე მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა. „როსონერის" ვებგვერდი იუწყებოდა, რომ მილანელებმა ჯუზეპე როსი იყიდეს და რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან სწორედ „შავ-წითელი" მაისურით იასპარეზებდა. როსის „მილანში" გადასვლაში წარმოუდგენელი არაფერია, უბრალოდ, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, თითქოს მოლაპარაკებებიც არ მიმდინარეობდა და უცებ, ასეთი ცნობის გავრცელება მართლაც მოულოდნელი იყო.

თუმცა, რამდენიმე წუთში ეს ინფორმაცია „მილანის" საიტიდან გაქრა და ამ წუთამდე, როსის ტრანსფერზე არავითარი სიახლე აღარ გავრცელებულა. ბუნებრივია, მასმედიაში უამრავი ჭორი გავრცელდა და ასეთი ცნობის გავრცელების ორი სავარაუდო ვერსია გამოიკვეთა. ერთი ისეთია, რომლის დადასტურებაც „მილანის" გულშემატკივრებს უთუოდ გაახარებდათ. მაგალითად, „ტუტოსპორტი" ვარაუდობს, რომ „მილანის" ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტმა უბრალოდ იჩქარა და ეს ინფორმაცია ნაადრევად გაავრცელა. ანუ, „როსონერის" მესვეურებმა მართლაც გადაიბირეს როსი და ამ ამბავს უახლოეს პერიოდში გაახმაურებენ. თუმცა, ამ წუთისთვის მეორე ვერსია უფრო რეალური ჩანს. სავარაუდოდ, ეს გაუგებრობა ჰაკერების ნამოქმედარმა გამოიწვია. დიახ, ჟურნალისტთა უმეტესობა ვარაუდობს, რომ ჰაკერებმა „მილანის" ოფიციალური გვერდი გატეხეს და მცდარი ინფორმაცია გაავრცელეს. მიუხედავად იმისა, რომ ცნობა როსის „მილანში" გადასვლის შესახებ სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში იყო გამოქვეყნებული, მან მთელი მსოფლიოს ინტერნეტპორტალები მოიარა. შესაბამისად, ჰაკერებმა თავისი საქმე გააკეთეს, თუმცა ძნელი სათქმელია, ვის რაში უნდა სჭირდებოდეს ასეთი უსაფუძვლო ინფორმაციის გავრცელება.

ჯერჯერობით, არც ერთი ვერსია არ დასტურდება, რადგან „როსონერის" წარმომადგენლებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. „მილანის" მესვეურთა სიჩუმე ტიფოზერიას აიმედებს, რომ შესაძლოა, როსის მათ საყვარელ გუნდში გადასვლის საკითხი მართლაც იდგეს დღის წესრიგში. ვნახოთ, ყველაფერს ნათელი უახლოეს დღეებში მოეფინება.

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის ნაკრები

# ალბერტო ჯილარდინო: მუნდიალი ჩემი იქნება!

## ამაურის თემა უკვე ბევრს აღიზიანებს

2010 წელი მსოფლიოს ჩემპიონატის წელია და გასკვირი არ არის, რომ მომავალ სეზონს ბევრი სწორედ მუნდიალის ჭრილში უყურებს. ფეხბურთელები განსაკუთრებული სეზონის ჩატარებას გეგმავენ, რომ ეროვნულ ნაკრებში მოხვდნენ და სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრონ. გამონაკლისი არც **ალბერტო ჯილარდინოა**. „ფიორენტინას" ფორვარდმა სკუადრა აძურაზე და მის სანაკრებო შანსებზე ისაუბრა. საგულისხმოა, რომ ჯილამ **კარვალიო ამაურიზეც** გააკეთა კომენტარი, ვისაც უკვე დიდი ხანია უწინასწარმეტყველებენ იტალიის ნაკრებში მოხვედრას. მოვუსმინოთ ჯილას:

*„ბოლო დროს ჩვენი ნაკრები ვეღარ ბრწყინავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითია. კონფედერაციათა თასზე მართლაც ცუდად ვიასპარეზეთ, თუმცა იყო პოზიტივიც და ეს არ უნდა დავივიწყოთ. გამოჩნდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც მომავალში სკუადრა აძურაში დამკვიდრება შეუძლიათ. იგივე ჯუზეპე როსი ან დივიდე სანტონი - შესანიშნავი მოთამაშეები არიან, რომლებსაც მუნდიალზე თავისი სიტყვის თქმა შეუძლიათ. არ დავმალავ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას მეც ვუმიზნებ. ჩემი ოცნება და მიზანია, რომ მსოფლიოს თასზე გავიბრწყინო. დიახ, მუნდიალი ჩემი იქნება - არ მეშინია ამ სიტყვების თქმის".*

სწორედ აქ ჩამოაგდო სიტყვა ალბერტომ ამაურიზე: *„თუმცა, სანამ მუნდიალის გმირობაზე ვიფიქრებდე, ჯერ ეროვნულ გუნდში ადგილი უნდა დავიმკვიდრო. მომავალ სეზონში „ფიორენტინას" შემადგენლობაში უმაღლეს დონეზე უნდა ვიასპარეზო, რომ შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ შემექმნას. კონკურენტები ღირსეულები მყავს, თუმცა მათთან ჭიდილი არ მაშინებს. ამაური? - მასზე ძალიან დიდი ხანია საუბრობენ. არა თვე, ან თვეები - წლები და სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი ცოტა მომაბეზრებელიც გახდა. ამაური ძალიან კარგი თავდამსხმელია, მაგრამ მისი მისამართით ამხელა ყურადღება მაინც გადამეტებული მგონია. არა და არ დაადგა მისი პასპორტის საქმეს საშველი და უმჯობესია იმ ფეხბურთელებზე ვიმსჯელოთ, რომლებსაც ეროვნულ გუნდში ასპარეზობის უფლება აქვთ".*

ალბერტო ჯილარდინო უკვე მუნდიალზე ფიქრობს



როგორც ხედავთ, ამაურის საგა გრძელდება და რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ადამიანს უჩნდება ამ საკითხისადმი პროტესტი. ჯილარდინო პირველი არ არის, ვინც ღიად განაცხადა, რომ ეს ყველაფერი უკვე მომაბეზრებელი გახდა. სულ რამდენიმე ხნის წინ, დაახლოებით ანალოგიური რამ თქვა **ანდრეა პირლომ** და ამაურის შეუთვალა კიდეც, რაღაც გადაწყვიტეო. უკმაყოფილება თავის დროზე **მარჩელო ლიპიმაც** გამოხატა და დასძინა - სანამ ეს კაცი იტალიურ პასპორტს არ აიღებს, მასზე კითხვას ნუ დამისვამთო. ბოლო ინფორმაციით, ამაური იტალიის მოქალაქე პირველ სექტემბერს გახდება, თუმცა ასეთი თარილი უკვე არაერთხელ სრულიად უშედეგოდ დაითქვა.

**ლაშა ნიკლაური**

მარსელო სალაიეტამ (მარჯვნივ) შეიძლება ნაპოლი დატოვოს და პარმას შეუერთდეს



პარმა

# სალაიეტა, ბოჟინოვი თუ ორივე?

## პარმა შემადგენლობას აძლიერებს

სერია A-ში დაბრუნებული „პარმას" მესვეურებს საკმაოდ ამბიციური მიზნები აქვთ და სურთ, გუნდმა მომავალ სეზონშივე ევროტურნირის საგზური მოიპოვოს. თუმცა ერთია სურვილი და მეორე, რეალობა. ფაქტია, რომ დღეს პარმეზანელებს არ ჰყავთ ისეთი შემადგენლობა, რომელსაც მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. ეგ კი არა, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას „პარმა" გუნდის უდავო ლიდერმა, **კრისტიანო ლუკარელიმ** დატოვა და მშობლიურ „ლივორნოს" მიაშურა.

„პარმას" მთავარი მწვრთნელი **ფრანჩესკო გვიდოლინი** ასეთი ვითარებით შეფიქრიანებულია და ღიად აცხადებს, რომ გუნდი გაძლიერებას საჭიროებს. განსაკუთრებული სირთულეები გვიდოლინის შეტევის ხაზში აქვს, მის განკარგულებაში ამჟამად ახალგაზრდა და გამოუცდელი ფორვარდები არიან: **ალბერტო პალოსკი, დანიელე ვანტაჯატო, დავიდე ლანცაფამე** და **სტეფანო ბიაბიანი**. თავადაც ხვდებით, რომ ასეთი რესურსით სერია A-ში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლებელია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „პარმას" მესვეურები **მარსელო სალაიეტასთან** აწარმოებენ მოლაპარაკებებს და დიდია შანსი, ურუგვაელი გადაიბირონ კიდეც. გასული სეზონი მარსელომ „ნაპოლიში" გაატარა და თავი საკმაოდ ნორმალურად წარმოაჩინა. მისი სატრანსფერო უფლებები ორ კლუბს ეკუთვნის: ხსენებულ „ნაპოლისა" და ტურინის „იუვენტუსს". თუმცა ურუგვაელს სამომავლოდ არც ტურინში სურს ასპარეზობა და არც ნეაპოლში. როგორც თვითონ განაცხადა, ახალ ნავსაყუდელს ეძებს, სადაც საუკეთესო თვისებების წარმოჩენის საშუალება მიეცემა. ჟურნალისტთა ცნობით, სალაიეტას გაყიდვის წინააღმდეგი არც „იუვეა" და არც „ნაპოლი", ფეხბურთელის საბაზრო ღირებულება კი ათი მილიონი ევროა. „პარმა" მზად არის თავდამსხმელში თანხა გადაიხადოს, თუმცა ამ ეტაპზე მაინც ვაჭრობას ამჯობინებს და შეთანხმებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. დიალოგი კომპრომისულ ხასიათს ატარებს და დიდია შანსი, გარიგება სულ მალე, რამდენიმე დღეში შედგეს.

„კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეაპოლელები კიდევ ერთ თავდამსხმელთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. საუბარია „მანჩესტერ სიტის" ფორვარდ **ვალერი ბოჟინოვზე**. ბოჟინოვი თავის დროზე სერია A-ში საკმაოდ კარგად ასპარეზობდა, შემდეგ კი ინგლისში გადაბარგდა და ბევრისთვის მოულოდნელად, დაიკარგა. მას შემდეგ, რაც „სიტიმ" თავდამსხმელების მთელი არმია შეიძინა, ნათელი გახდა, რომ ვალერის მანჩესტერში დიდ ხანს აღარ გააჩერებენ.

პარმეზანელების სახით, ბულგარელს პირველი მსურველი გამოუჩნდა. თუმცა, საქმეს ის ართულებს, რომ „ჯალობლუს" ფეხბურთელის არენდის წესით აყვანა სურს, „სიტის" მესვეურებს კი ბოჟინოვის გაყიდვა უნდათ. სახელდება თანხაც, ათი მილიონი ევრო. ჯერჯერობით, ბულგარელ თავდამსხმელზე დიდი მოთხოვნა არ არის და შესაძლოა, ეს გახდეს ინგლისელთა და იტალიელთა შეთანხმების მთავარი საფუძველი. ასე რომ, არის შანსი ვალერი ბოჟინოვი კვლავ სერია A-ს დაუბრუნდეს და „პარმას" შემადგენლიბაში იასპარეზოს.

**ლაშა ნიკლაური**

სამპდორია

# კასანო არ იყიდება!

მას შემდეგ, რაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ოფიციალურად დატოვა „ინტერი", გავრცელდა ხმები, თითქოს „ნერაძურის" რიგებს მალე **ანტონიო კასანო** შეავსებს. **ჟოზე მოურინიოს** ანტონიოსადმი სიმპათია ყოველთვის ჰქონდა და ეს არაერთხელ აღუნიშნავს. „ინტერი" უკვე ორი წელია, მის გადაბირებას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. დღეს „ინტერს" ფინანსური პრობლემა ნამდვილად არ აქვს და თითქოს, ტრანსფერის გაჩარხვის ალბათობა მართლაც დიდია. თუმცა, სულ სხვა აზრზეა „სამპდორიას" პრეზიდენტი **რიკარდო გარონე**. გენუური კლუბის მმართველმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*„არ მესმის, რა კავშირშია ზლატან იბრაჰიმოვიჩი ანტონიო კასანოსთან. შვედმა „ინტერი" დატოვა, მაგრამ მის ნაცვლად მილანში ორი შემტევი ჩავიდა: სამუელ ეტოო და ალექსანდრ გლები. ასეც რომ არ იყოს, მე სულაც არ მადარდებს „ნერაძურიში" მიმდინარე სატრანსფერო პროცესები. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კასანო მომავალ სეზონში „სამპდორიაში" იასპარეზებს. მოვრჩეთ ამ თემაზე სპეკულაციებს".*



ანტონიო კასანო სამპდორიას ერთგულია

მიუხედავად გარონეს ასეთი კატეგორიული განცხადებისა, ვშიშობთ, რომ კასანოს „ინტერში" გადასვლის შესაძლებლობებზე და შანსებზე კიდევ ბევრს ისაუბრებენ.

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# მინუს ორიოდ დღე

**ალვარო არბელოა** მადრიდის „რეალს" რამდენიმე დღეში დაუბრუნდება. როდის თამაშობდა არბელოა „რეალში"? სანამ „დეპორტივოში" გადავიდოდა, ახალგაზრდულ გუნდში იყო. 2007 წელს კი 2.6 მილიონ ფუნტად „დეპორტივოდან" „ლივერპულში" ამოყო თავი. დღეს მარცხენა მცველი 26 წლისაა.

თუკი ესპანურ გაზეთებს დავეყრდნობით, ფეხბურთელმა „რეალთან" თავისი წილი მოთხოვნები და პირობები უკვე შეათანხმა, კლუბებმა კი ხელი ხელს 3.5 მილიონზე დაჰკრეს. დღეს, არბელოა, რომლის ლივერპულელ თანაგუნდელსა და თანამემამულე **ჩაბი ალონსოს** გული ასევე „რეალისკენ" მიუწევს, ამბობს, რომ მისი ტრანსფერის სისრულეში მოყვანამდე ორიოდ დღე და დეტალიღაა დარჩენილი.

ესპანეთის ნაკრების მოთამაშემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: *„როგორც პროფესიონალი დღეს „ლივერპულში" ვვარჯიშობ და ამ გუნდს ვემსახურები, მაგრამ ფაქტია, რომ „რეალთან" ყველაფერი მოგვარებული მაქვს. ახლა რამდენიმე დღე უნდა მოვიცადოთ, ყველაფერი სულ მალე გამოჩნდება. პატარა სამმხრივი მონადინებაც და მადრიდს გავემგზავრები. ჩემი „ლივერპულიდან" „რეალში" გადასვლა არის ის, რაც ამ გარიგების მონაწილე სამივე მხარეს სურს. სულ მცირე პროცენტებია გასარკვევი. მე ამ პროცენტებისა ნამდვილად არაფერი მაინტერესებს, რადგან ის კლუბებს შორისაა. ერთი სიტყვით, კვირის ბოლოს ყველაფერი უნდა დასრულდეს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ალვარო არბელოა



ეროვნული ბიბლიოთეკა

შტუტგარტი



პაველ პოგრებნიაკი

## ახლა კიდევ პოგრებნიაკიო...

### ცსკამ ვაგნერ ლავში 22 მილიონი მოითხოვა. ჰელდტი: ეს უტოპიაა!

„შტუტგარტის" ხელმძღვანელები და გულშემატკივრები „ბაიერნში" გადასული **მარიო გომესის** შემცვლელის ძებნით დაიქანცნენ. ევროპაში თითქმის აღარ დარჩა ტრანსფერზე დაყენებული თავდამსხმელი, რომლის ბედსაც შვაბურ კლუბს არ უკავშირებდნენ. მას მერე, რაც **კლაას-იან ჰუნტელაარის** ტრანსფერი საბოლოოდ ჩაიშალა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გერმანული კლუბი მხოლოდ ორ კანდიდატურას განიხილავს.

ჰუნტელაარის შემდეგ „შტუტგარტში" გადასვლაზე ესპანელმა **ალვარო ნეგრედომაც** უარი თქვა და დღეისათვის შვაბები მხოლოდ ორ ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ესენი არიან **ვაგნერ ლავი** და **პაველ პოგრებნიაკი**. როგორც „შტუტგარტერ ცაითუნგი" იტყობინება, შვაბების გენერალური მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** მოსკოვის ცსკა-ს შემდეგ, პეტერბურგის „ზენიტთანაც" აწარმოებს მოლაპარაკებებს. 25 წლის რუსმა ფორვარდმა უკვე დაადასტურა, რომ დასავლეთ ევროპაში სურს კარიერის გაგრძელება. პოგრებნიაკს „ზენიტთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, „ზენიტი" მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს. აღსანიშნავია, რომ რუსეთში სეზონი უკვე დაწყებულია და შესაბამისად, პოგრებნიაკიც ფორმაშია.

იგივე ეხება ვაგნერ ლავსაც, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ცსკა ბრაზილიელი გოლეადორის სანაცვლოდ ძალიან დიდ თანხას, 22 მილიონ ევროს ითხოვს. ჰელდტს კი მიაჩნია, რომ ვაგნერ ლავისთვის 22 მილიონი უტოპიურად დიდი ფასია. ლავის აგენტმა **ჰენდრიკ ჰოპენვორთმა** განაცხადა, რომ ცსკა-მ შტუტგარტელებს ბოლო სიტყვა უთხრა და ახლა ყველაფერი გერმანული კლუბის შეფებზეა დამოკიდებული.

„ყველაფერი გარკვეულია. ვაგნერ ლავს შტუტგარტში გადასვლა უნდა. ახლა ჯერი კლუბზეა. თუ შვაბები ცსკა-ს მოთხოვნილ თანხას მისცემენ, ჩემი კლიენტი გერმანიაში გადავა," - ამბობს ჰოპენვორთი.

რეალი

# სამს კარისკენ მიუთითეს, ვინ იქნება შემდეგი?

მადრიდის „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა „მშვიდობის თასის" მეორე მატჩისთვის „უნივერსიდად დე კიტოს" წინააღმდეგ სავარაუდო სიიდან ორი ფეხბურთელის გვარი ამოიღო - „მარკას" ცნობით, მატჩისთვის გუნდთან ერთად არ მოემზადებიან არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცე** და ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, ამ სიაში ისედაც არ იყო ფორვარდი **კლაას იან ჰუნტელაარი**. „მარკას" მტკიცებით, ეს მკაფიო გზავნილია ამ ტრიოსადმი, რომ ისინი „რეალს" აღარ სჭირდება და უჯობთ ახალი კლუბი გამოძებნონ.

სხვათა შორის, დღით ადრე ამ თემაზე ზოგადად **ფლორენტინო პერესმაც** ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ გუნდის განაცხადი 25 ფეხბურთელამდე უნდა დავიდეს. პელეგრინის გადაწყვეტილების შემდეგ კი ცხადი გახდა, რომელი სამეული დატოვებს მადრიდს. თუმცა, შესაძლოა, სეზონის დაწყებამდე „რეალში" კიდევ მოეწყოს მცირე წმენდა.



რაფაელ ფანდერ ვაარტი

ჰუნტელაარს არ მიუღია მონაწილეობა „რეალის" არც ერთ სპარინგში. მას კარგა ხანია აგრძნობინეს, რომ „რეალში" აღარ სჭირდებათ. ახლა მისი ბედი მისმა თანამემამულე ვან დერ ვაარტმაც გაიზიარა, რომელსაც 23-ნომრიანი მაისურა ჩამოართვეს და ის „ხეტაფედან" დაბრუნებულ **ესტებან გრანეროს** გადასცეს. რაც შეეხება ჰაინცეს, ის „რეალს" მალე გამოეთხოვება და კარიერას ან ინგლისში ან საფრანგეთში გააგრძელებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვალენსია

# დავიდ ვილია: ვინმე მოვკალი?

ერთითვის განმავლობაში „ვალენსიას" და ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავი **დავიდ ვილია** სატრანსფერო ციებცხელების ეპიცენტრში იყო, თუმცა „ელ გუახეს" ტრანსფერი „ბარსელონაში" ჩაიშალა, რადგან კლუბებმა თანხაზე ვერ მოილაპარაკეს და ვილია, რომელიც 2005 წლიდან „ლოს ჩეს" რიგებში თამაშობს, ისევ „მესტალიაზე" დარჩა. ფორვარდმა გუშინ ლამის ერთთვიანი დუმილი დაარღვია და მედიას წარუდგა. ვილიამ აღნიშნა, რომ ის ცდილობდა კლუბის ინტერესის გათვალისწინებას და სიტუაციის გარკვევამდე პრესასთან დუმილი არჩია.

*„მე კლუბის გადაწყვეტილებებზე ვიყავი დამოკიდებული. ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მე ვრჩები, რისიც დიდად მოხარული ვარ. სეზონისთვის მზადება კარგად დავიწყე, ადრეული გოლებით ტესტებში კმაყოფილი ვარ".* ვილიამ არ დამალა, რომ ის ძალიან ახლოს იყო კლუბთან გაშორებასთან: *„მითხრეს, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემს სარფიანად გაყიდვას აპირებდნენ. თუმცა მალე ყველაფერი შეიცვალა და ამის შემდეგ ველარც წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა კლუბის მაისურში".*



დავიდ ვილია

ვილია არ მიიჩნევს, რომ „ბარსელონაში" ტრანსფერის ჩაშლის გამო მან დაკარგა შანსი „უფრო მაღალ დონეზე" თამაშის. *„არა მგონია, რომ ბაქანზე გვიან მივედი და მატარებელმა გამასწრო. სულაც არ ვფიქრობ ასე - რასაც მივაღწიე კარიერაში ყველაფერი „ვალენსიას" და ესპანეთის ეროვნული ნაკრების დამსახურებაა".*

*„ბედნიერი ვარ, რომ ვრჩები და ამასთანავე მონდომებულიც. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი"*, - განაცხადა მან. ვილიამ უარყო ხმები, თითქოს, „ბარსელონასთან" მოლაპარაკებაში თავადაც იღებდა მონაწილეობას: *„არასოდეს არავისთან არ დავმჯდარვარ ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად, ეს აგენტის საქმეა".*

სხვათა შორის, ერთ-ერთი ჟურნალისტი „ელ გუახეს" შეეკითხა, ხომ არ აპირებთ „ვალენსიას" გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადოთო. რაზეც ვილიამ გაოცებულმა უპასუხა: *„ბოდიში? რის გამო, ვინმე მოვკალი? არა მგონია ჩვენ გულშემატკივრებთან საბოდიშო რამე მქონდეს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## იბრა ბარსას ერთი თვე დააკლდება

„ინტერის" ყოფილმა ფორვარდმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ახლახან გააფორმა კონტრაქტი „ბარსელონასთან" და ის... კლუბს ოთხი კვირით გამოაკლდა. შვედი „კამპ ნოუზე" ორშაბათს წარუდგა 60 ათას გულშემატკივარს, მეორე დღეს კი მან კლინიკაში მოტეხილ ხელზე ოპერაცია გაიკეთა. უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იბრაჰიმოვიჩი „ბარსას" ამერიკაში ვერ გაჰყვება. სავარაუდოდ, ის ვერც აგვისტოს მეორე ნახევრის მატჩების ნაწილში მიიღებს მონაწილეობას. „იბრამ" ტრავმა „ინტერის" რიგებში, „ჩელსის" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მიიღო. მას მცირე მოტეხილობა აქვს ხელის მტევანზე და ხანმოკლე ოპერაცია დასჭირდა. დოქტორი **რიკარდ პრუნია** აცხადებს, რომ საშიში არაფერია და შვედი ფორვარდი მალე მოირჩენს ტრავმას. იბრაჰიმოვიჩის დებიუტს 23 აგვისტოსთვის ვარაუდობენ, როცა „ბარსელონა" ესპანეთის სუპერთასის საპასუხო მატჩში ბილბაოს „ატლეტიკს" შეხვდება.

## რა გინდოდა რეალის მაისურით კამპ ნოუზე

ორშაბათს, „კამპ ნოუზე" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პრეზენტაციაზე ერთი გულშემატკივარი მადრიდის „რეალის" მაისურით და შარფით დამშვენებული მივიდა, შინ კი „ცხვირდამშვენებული" დაბრუნდა. „ბარსას" ფანები აღშფოთებას ვერ მალავდნენ, როცა ტრიბუნაზე „რეალის" შარფმოხვეული გულშემატკივარი დაინახეს, ისინი ყვირილით მოუწოდებდნენ მას დაეტოვებინა „კამპ ნოუ", კატალონიელთა გულშემატკივრებმა უცხოს ალყა შემოარტყეს და როდესაც „რეალის" ფანმა გადაწყვიტა გაცლოდა სტადიონს, გზად მას მუშტი ცხვირში მოხვდა. დაზარალებულს ცხვირზე ოპერაცია ესაჭიროება.

## კეირისონის ბარსელონა გადაიდო

„ბარსელონას" ახალწვეულ ბრაზილიელ **კეირისონს** მოცდა მოუწევს სანამ კლუბის მაისურს მოირგებს. კეირისონს ისედაც მცირე შანსი ჰქონდა ამ სეზონშივე ეთამაშა კატალონიური გუნდის ძირითადში და **იბრაჰიმოვიჩის** მისვლით მან ეს შანსი საერთოდ დაკარგა. „ბარსელონამ" შეთანხმებას პორტუგალიურ „ბენფიკასთან" მიაღწია და 20 წლის ფორვარდი სეზონს ლისაბონში გაატარებს, ამასთან „ბენფიკას" უფლება აქვს იჯარის ვადა კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივოს. „აბოლას" ინფორმაციით კეირისონი უკვე ჩაფრინდა ლისაბონში. *„ძალიან გახარებული ვარ, რომ თამაშის საშუალება მომეცემა. „ბენფიკა" დიდი გუნდია, მისი მაისურით თამაში ჩემთვის დიდი პატივია"*, - განაცხადა კეირისონმა დღის ბოლოს. ივლისის დასაწყისში ბრაზილიელი „პალმეირასიდან" გადავიდა „ბარსელონაში". „ბენფიკამ" მთლიანად განაახლა წინა ხაზი, გუნდმა **სავიოლა** და **ველდონი** შეიძინა, ახლა კი - კეირისონიც.

## გუისა ლიონში, მორიენტესი მარსელში

თურქული „ფენერბაჰჩე" თანახმაა ესპანელ ვარსკლავ **დავიდ გუისას** შეელიოს. ფრანგული „ლიონი" და თურქული კლუბი შეთანხმდნენ, რომ ესპანელი ფორვარდი 12 მილიონი ევროს ფასად სტამბოლიდან საფრანგეთში გადავა. ევროპის ჩემპიონი „ფენერბაჰჩემ" 16 მილიონ ევროდ შეიძინა „მალიორკიდან", თურქულ სეზონში მან 11 გოლი გაიტანა. *„რა თქმა უნდა წამგებიანი გარიგება გამოგვდის, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ფეხბურთელს კლუბის დატოვება სურს"*, - განუცხადა მილეთს" „ფენერის" გერმანელმა თავკაცმა **კრისტოფ დაუმმა**.

ამასობაში მარსელის „ოლიმპიკმა" თავისუფალი აგენტი **ფერნანდო მორიენტესი** შეიძინა. კლუბის თავკაცი **დიდიე დეშამი** მიიჩნევს, რომ ვეტერანი ესპანელი დიდ სარგებელს მოუტანს „მარსელს: *„ისეთი ფეხბურთელის შეძენა, ვისაც სეზონში 20 გოლის გატანა ძალუძს დღევანდელ ბაზარზე 15 მილიონ ევრომდე დაგვიჯდებოდა, ფერნანდოში კი ევროც არ გადაგვიხდია".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სატრანსფერო



ობაფემი მარტინსი შეიძლება გამგელდეს

## მარტინსს ვოლფსბურგში უნდა

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" „ნიუკასლის" ნიგერიელი თავდამსხმელით, **ობაფემი მარტინსით** დაინტერესდა. ახლა კი ირკვევა, რომ „ვოლფსბურგში" გადასვლა თვითონ მარტინსსაც სურს. *„ბუნდესლიგა შესანიშნავი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. გერმანიის ჩემპიონის შემადგენლობაში თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა. ძალიან მინდა, რომ ტრანსფერი განხორციელდეს,"* - განუცხადა 24 წლის მარტინსმა ინგლისელ ჟურნალისტებს.

აღსანიშნავია, რომ მარტინსის გადაბირება „ვოლფსბურგის" გარდა სამ ინგლისურ კლუბს სურს - „არსენალს", „ევერტონსა" და „ტოტენჰემს". მაგრამ როგორც ჩანს, ნიგერიელს ინგლისში დარჩენა არ სურს. „ნიუკასლი" მარტინსში 10 მილიონ ევროს ითხოვს.

## ისევ იაროლიმი!

„ჰამბურგის" კაპიტანი მომავალ სეზონშიც გამოცდილი ჩეხი ნახევარმცველი **დავიდ იაროლიმი** იქნება. 30 წლის საყრდენმა გუნდის კაპიტნის სამკლავური ერთი წლის წინ, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** წასვლის შემდეგ მოირგო. ახლა კი, გუნდის ახალმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ის ამ თანამდებობაზე დატოვა. იაროლიმის შემცვლელი 29 წლის ჰოლანდიელი მცველი **იორის მატიისენი** იქნება. სამაგიეროდ, ლაბადიამ გუნდის ახალი საბჭო აირჩია, რომელშიც იაროლიმისა და მატიისენის გარდა, მეკარე **ფრანკ როსტი**, **კოლინ ბენჯამინი** და **გი დემელი** შედიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს საოცნებო პრემიერლიგა...

# მოუ-ლოდნელი განცხადება

აბა, თუ მიხვდებით, რას იტყოდა **ჟოზე მოურინიო?** რაღაც განსაკუთრებულს, არა? ცამდე მართალი ბრძანდებით, ოღონდ ეგაა, ამ პორტუგალიელ კაცს, რომელიც დღეს „ინტერს" უდგას სათავეში, ისეთი სიტყვის თქმა შეუძლია, ყველას ნებისმიერ თემაზე რომ აალაპარაკებს. ამჯერად მაუმ ბრძანა, ინგლისში დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი, კერძოდ... „მანჩესტერ იუნაიტედში" სერ **ალექს ფერგიუსონის** შემცვლელადო. როგორია?

აქამდე, ისე იყო ცნობილი, რომ თუ მოურინიო პრემიერლიგაში დაბრუნდებოდა, ისევ „ჩელსიში" მივიდოდა, გუნდში, რომელიც 2005-2006 წლებში ზედიზედ ორჯერ მიიყვანა ჩემპიონის ტიტულამდე. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და, პორტუგალიელს გონებაში სულ სხვა რამ უტრიალებს.

*„სიამოვნებით განვიხილავდი „მანჩესტერ იუნაიტედში" მისვლის ვარიანტს, ოღონდ, ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუკი ამ კლუბშიც განიხილავენ ფერგიუსონის შემდეგ ჩემი მწვრთნელობის შესაძლებლობას. ვიმეორებ, თუ მათ ვუნდივარ, მხოლოდ იმ შემთხვევაში. მე ძალიან მიყვარს ინგლისი. ინგლისელი ფანებისთვის ფეხბურთი თავდავიწყების მიზეზია. ისინი ენით აუწერელ გარემოს ქმნიან და ამ მშვენიერ სამყაროში მონაწილეობას არაფერი სჯობს"*, - განაცხადა მოურინიომ.

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიომ პრემიერლიგა ორი წლის წინ დატოვა. გარდა ზემოთ ნახსენები ჩემპიონის ტიტულებისა, მის ხელში „ჩელსიმ" ორჯერ „ქარლინგის" და ერთხელაც ფეხბურთის ასოციაციის თასები მოიპოვა. ერთადერთი, რაც მან ლონდონელი „ლურჯების" თავკაცის რანგში ვერ შეძლო, უეფას ჩემპიონთა ლიგის მოგება უყო. და კიდევ ერთი, მოურინიოს თანამდებობიდან მოხსნა რომ მოუნდა, კლუბის რუსმა მეპატრონემ, **რომან აბრამოვიჩმა** მიზეზად თავისებური რამ მოიტანა, გუნდს, მე რომ მინდა, ისეთ ლამაზ ფეხბურთს ვერ ათამაშებსო. იყო თუ არა ეს პორტუგალიელის გაშვების ნამდვილი მიზეზი, სხვა საკითხია. სავარაუდოდ, არ იყო, მაგრამ ეგ უკვე სხვა თემაა.

რაც შეეხება მოურინიოსა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ურთიერთობას: მართალია, ინგლისში მუშაობის სამი წლის განმავლობაში „განსაკუთრებულმა" „იუნაიტედსა" და მის მწვრთნელთან, ალექს ფერგიუსონთან სიტყვამწარეობას გვარიანი ძალა შეალია, მაგრამ სულ ერთი-ორჯერ, პრესაში გაიპარა ცნობა იმის შესახებ, რომ გულში ყოველთვის ამ გუნდის გაძღოლაზე ოცნებობდა და... ასე განსაჯეთ, ფერგიუსონსაც წამოსცდენია ვიწრო წრეში, ჩემს მერე „ოლდ ტრეფორდის" ბოსად ეგ კაცი ხომ არ მოგვევლინაო...

**ილია ბაბუნაშვილი**



ჟოზე მოურინიო და სერ ალექს ფერგიუსონი




BUNDES LIGA

# ახალი ბუნდესლიგაში




ლუკას ბარიოსი




რაულ ბობადილია

**ტიტულებს** დაცვა იგებს - ეს საკმაოდ ძველი, დაუწერელი საფეხბურთო კანონია, რომელიც არაერთხელ დამტკიცებულა. თუმცა გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" გასულ სეზონში პირველ რიგში შეტევაზე აკეთებდა აქცენტს და „ვერცხლის სინიც" თავდასხმის შესანიშნავი დუეტის წყალობით (გრაფიტე - 28 გოლი, ჯეკო - 26 გოლი) მოიგო. თანაც, „ვოლფსბურგმა" გასულ სეზონში ყველაზე მეტი, 80 გოლი გაიტანა. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ: იმის თქმა გვსურს, რომ ფეხბურთი გოლია, გოლებს კი უმეტესად თავდამსხმელები იტანენ. ბუნდესლიგის ახალი სეზონი ახლოვდება და რამდენიმე კლუბს ძალიან საინტერესო ახალი ფორვარდები ჰყავს. ჩვენ გერმანული კლუბების ახალწვეული თავდამსხმელებიდან 8 ყველაზე საინტერესო გოლეადორი ამოვარჩიეთ და გვინდა, მათზე თქვენც გაგამახვილებინოთ ყურადღება. რვიდან სამი ძველი ბუნდესლიგელია, რომლებმაც კლუბები შეიცვალეს და ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულები, დანარჩენი ხუთი კი ახალი ფორვარდები არიან.

### ■ მარიო გომესი,
ბაიერნი

მარიო გომესმა გასული სეზონის მეორე წრის 17 მატჩში 17 გოლი გაიტანა, „შტუტგარტი" მესამე ადგილზე, ანუ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა, თვითონ კი ისეთი რეკლამა გაიკეთა, რომ „ბაიერნში" გადაიყვანეს. ამრიგად, გერმანიის ნაკრების 24 წლის ფორვარდი, რომელსაც ბოლო დროს ბუნდესგუნდში გოლების გატანა ძალიან უჭირს, მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერისთვის შეუტევს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მაღალი კლასის ფორვარდია, რაც „შტუტგარტში" კარგად გამოსდიოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბაიერნშიც" კარგად გამოუვა. ასე რომ, გომესი ძალიან სერიოზული, კარიერის უმნიშვნელოვანესი გამოცდის წინაშე დგას. მარიომ „ბაიერნშიც" 33-ნომრიანი მაისურა აილო და სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებულ ტესტ-მატჩებში არაერთი გოლის გატანა შეძლო. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ გომესს „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული ექნება.

### ■ ლუკას პოდოლსკი,
კიოლნი

**ლუკას პოდოლსკის** უკვე ყველა ძალიან კარგად იცნობს და ყურადღების ცენტრშიც ნამდვილად არ მოექცეოდა, რომ არა ერთი ფაქტი: „ბაიერნში" გატარებული სამი უიღბლო წლის შემდეგ, 24 წლის „პრინცი პოლდი" ისევ „კიოლნში" დაბრუნდა. ამ გუნდში კი პოდოლსკი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში - ენდობიან, აფასებენ, უყვართ და რაც მთავარია, ათამაშებენ. საინტერესოა, გაამართლებს თუ არა პოდოლსკი „თხების" გულშემატკივრების იმედებს. ფაქტია, რომ სამი წლის განმავლობაში მას ჩავარდნა ჰქონდა. თუ პოდოლსკიმ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 64 თამაში აქვს ჩატარებული, მომავალ სეზონში გოლების გატანა ისევ ვერ შეძლო, ჩათვალეთ, რომ მისი ფეხბურთი დამთავრებულია. „ბაიერნში" იშვიათად ათამაშებდნენ და გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, „კიოლნში" უშედეგობას კი საფეხბურთო გერმანია ნამდვილად არ აპატიებს.

### ■ მარკუს ბერგი,
ჰამბურგი

**მარკუს ბერგი** კარიერას ფაქტობრივად ახლა იწყებს. შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების გოლეადორი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ახალგაზრდა ფორვარდია, რომელმაც თავისი შესაძლებლობები ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც დაამტკიცა, სადაც საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 1.84 მეტრი სიმაღლის თავდამსხმელს გოლები მშობლიურ „გიოტებორგშიც" გაჰქონდა, ჰოლანდიურ „გრონინგენშიც" და შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრებშიც. შესაბამისად, „ჰამბურგის" მთავარ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიასაც** მისი საგოლე ალღოს იმედი აქვს.

### ■ ერენ დერდიოკი,
ლევერკუზენი

შვეიცარიელი თავდამსხმელი ევროპული მედიის ყურადღების ცენტრში პირველად 2008 წლის იანვარში მოექცა, როცა ინგლისის ნაკრებს „უემბლიზე" გადამწყვეტი გოლი გაუტანა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი, 21 წლის დერდიოკს არაერთმა ევროპულმა გრანდმა დაადგა თვალი, მაგრამ ყველას ლევერკუზენის




მარსელო მორენო




არტურ ვიხნიარეკი

# ახალი ბომბდამშენები


ლუკას პოდოლსკი


მარკუს ბერგი

„ბაიერმა“ დაასწრო - 1.91 მეტრი სიმაღლის ფორვარდი სწორედ „ლევერკუზენს“ დარჩა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ფარმაცევტები“ დერდიოკის თანხმობას ძალიან დიდხანს ელოდებოდნენ. სეზონისწინა სამზადისისას ჩატარებული ტესტმატჩებიდან ჩანს, რომ ლევერკუზენელებმა დერდიოკისთვის ტყუილად არ იბრძოლეს. შვეიცარიელს **იუპ ჰაინკესის** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს.

## ■ მარსელო მორენო, ვერდერი

მას მერე, რაც **მიროსლავ კლოზემ** ბრემენის „ვერდერი“ დატოვა, „მუსიკოსებს“ არ ჰყოლიათ ისეთი თავდამსხმელი, რომელიც საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის იბრძოლებდა. ეს ვერც **ბუბაკარ სანოგომ** შეძლო, ვერც ბრაზილიელმა **კარლოს ალბერტომ** (...), ვერც პორტუგალიელმა **უგო ალმეიდამ** და ვერც **კლაუდიო პისარომ**. სწორედ ამიტომ, „ვერდერი“ კიდევ ერთხელ გაძლიერდა თავდასხმაში - „მუსიკოსებმა“ 22 წლის ბოლივიელი გოლეადორი **მარსელო მორენო** გადაიბირეს. 2008 წელს ეს ფეხბურთელი ლიბერტადორესის თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მორენო ნახევრად ბოლივიელი, ნახევრად კი ბრაზილიელი, სიმაღლეში 1.87 მეტრია და „ვერდერში“ დონეცკის „შახტარიდან“ გადავიდა (ერთწლიანი არენდით). თუმცა ბრემენელებმა მისი შესყიდვის უპირატესი უფლება დაიტოვეს. საინტერესოა, რას შეძლებს მორენო „ვერდერში“...

## ■ არტურ ვიხნიარეკი, ჰერტა

**არტურ ვიხნიარეკი** ბილეფელდის „არმინიაში“ „მეფე არტური“ იყო და გუნდის სიცოცხლის გარანტი გახლდათ, მაგრამ გამოცდილმა პოლონელმა გოლეადორმა გასულ სეზონში „არმინიას“ ველარ უშველა - ბილეფელდელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ. შესაბამისად, „არმინიამ“ თავისი მთავარი გოლეადორი ვერ შეინარჩუნა და 32 წლის ვიხნიარეკი ბერლინის „ჰერტაში“ დაბრუნდა, სადაც 2003-2006 წლებში ერთხელ უკვე თამაშობდა. მაშინ ვიხნიარეკი ბერლინული კლუბის სათადარიგოთა სკამს ხეხავდა, ახლა კი „ჰერტას“ ნომერ პირველი თავდამსხმელი იქნება, რადგან გუნდი დატოვეს **ანდრეი ვორონინმა** და **მარკო პანტელიჩმა**. სხვა თავდამსხმელების ყიდვას კი ბერლინელები ნაღდად არ აპირებენ. ასე რომ, ახალ სეზონში ვიხნიარეკზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

## ■ რაულ ბობადილია, მიონხენგლადბახის ბორუსია

გასულ სეზონში მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ უსუსტესი წერტილი თავდასხმა იყო. თავად განსაჯეთ: ამ გუნდმა სულ 39 გოლის გატანა მოახერხა და აქედან, თავდამსხმელების ანგარიშზე მხოლოდ 12 (!) გოლია. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრაა ციურიხის „გრასჰოპერსიდან“ შეძენილი არგენტინელი თავდამსხმელის, **რაულ ბობადილიას** მისია მიონხენგლადბახში. 22 წლის ბობადილიამ თავისი შესაძლებლობები შვეიცარიაში უკვე დაამტკიცა: 26 გოლი 47 მატჩში. „გლადბახში“ ბობადილა ათნომრიანი მაისურით ითამაშებს და აქედანაც ჩანს, რომ მასზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ არგენტინელმა ტესტმატჩებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

## ■ ლუკას ბარიოსი, დორტმუნდის ბორუსია

ეს კი ისეთი თავდამსხმელია, რომელზეც მხოლოდ ციფრებით მსჯელობაც კი საკმარისია: 38 თამაში, 37 გოლი - დორტმუნდის „ბორუსიის“ ახალწვეული **ლუკას ბარიოსი** 2008 წლის მსოფლიო გოლეადორია. მართალია, ეს სტატისტიკა ყველაფერზე იდეალურად მეტყველებს, მაგრამ მაინც: ბარიოსი კარგად თამაშობს თავით, ძლიერია ორთაბრძოლებში, აქვს ძალიან მძლავრი დარტყმა და ზომიერად კარგი ტექნიკა. სხვა საქმეა ის, რომ „კოლო კოლო“ (ჩილე) და „ატლას გვადალახარა“ (მექსიკა) არ არიან ის გუნდები, სადაც თუნდაც ასეთი კარგი შედეგების ჩვენება ავტომატურად ნიშნავს უმაღლეს დონეს. სამაგიეროდ, ბარიოსი 24 წლისაა და ბუნდესლიგაშიც შეეცდება მეტოქეების დანიოკებას.

გოტფრიდ **ლენცი**


ერენ დერდიოკი


მარიო გომესი

ტრანსფერი

# შეიხსენი ქამარი და ჩამოდი თვითმფრინავიდან!

**დარენ ბენტს** ეს დღე ცხოვრებაში არ დაავიწყდება. „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან“ „სანდერლენდში“, რაც ეს ორი გუნდი არსებობს, ალბათ, უამრავი ადამიანი გადასულა, მაგრამ ასე?

ლონდონის გუნდი ჩინეთს მიემგზავრებოდა. ფეხბურთელები თვითმფრინავში ავიდნენ, ბარგი დააბინავეს და ასაფრენად მოემზადნენ, როდესაც მოულოდნელად რეისი შეფერხდა. მიზეზი? არც სადღაც მიმალული საეჭვო საგანი და არც არაბი მგზავრი, რომელზეც ბოლო წამს შეიტყვეს, რომ „ალ ქაიდას“ წევრია. დარენ ბენტი „სპურზიდან“ „სანდერლენდში“ გადასულა... პოდა, სხვა გუნდის ფეხბურთელს სხვა გუნდთან ერთად ჩინეთში რაღა უნდა ეკეთებინა?

ერთი სიტყვით, ბენტთან მივიდნენ, უთხრეს, რომ ლაინერიდან უნდა ჩასულიყო, ბარგი მოეძებნეს, დაუბრუნეს და სანდერლენდელთა მიერ „ჰითროუს“ აეროპორტის შენობასთან მიყენებულ მანქანაში ჩასვეს. დანარჩენზე, ბენტსა და მისი ახალი გუნდის მწვრთნელს, **სტივ ბრუსს** ნუხელ უნდა ელაპარაკათ.

კლუბები 15 მილიონ გირვანქაზე მორიგდნენ. ფეხბურთელი კონტრაქტს, სავარაუდოდ, დღეს მოაწერს ხელს. მავანი იკითხავს, რა საჭირო იყო მოლაპარაკებების ასე გაწელვაო და ეს კითხვა სრულიად ლოგიკური იქნება. მოგახსენებთ: „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავდამსხმელი „ჩარლტონ ატლეტიკისგან“ 2007 წლის ივნისში 16,5 მილიონ ფუნტად ჰყავდა ნაყიდი და ცოცხალი თავით არ უნდოდა ნაგებაში დარჩენა. ლონდონელებმა ყველა ლონე იხმარეს, რათა ბენტი რამდენადაც იყიდეს, იმდენადვე გაეყიდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ და როდესაც ლონდონ-პეკინის რეისის პილოტმა თვითმფრინავის დასაქოქად ხელი გაიშვირა, 15 მილიონზე ყაბული თქვეს.

პეკინს ვერ გაემგზავრა „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ახალი შენაძენი, ცნობილი თავდამსხმელი **პიტერ კრაუჩიც**, რომელსაც, როგორც გაირკვა, ლონდონელებმა ჩინეთის ვიზა ვერ მოუხერხეს. შესაბამისად, ის ახალ თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშს ორშაბათიდან, ანუ მას მერე შეუდგება, რაც „მამლები“ აზიური ტურნედან დაბრუნდებიან.

**ილია ბაბუნაშვილი**


დარენ ბენტი



ვარსკვლავის მოსაზრებანი

ტიერი ანრი



# ნამდვილი არსენალელი ბარსელონადან

**ტიერი ანრი გაბრაზდა.** მასზე თქვეს, **პატრიკ ვიეირას** „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ გადასვლა ურჩიაო.

„გულით არსენალელი ვარ და მუდამ არსენალელად დავრჩები. მაშ, როგორ შეიძლება ვინმესთვის „ტოტენჰემში“ გადასვლა მერჩია? პატრიკ ვიეირა ზრდასრული კაცია, მან თავად იცის, რა არის მისთვის უკეთესი. თავის კარიერას როგორც უნდა ისე მოიწყობს. ჩემზე კი იმას გეტყვით, რომ არასდროს არავისთვის მირჩევია, რა უნდა ქნას მომავალში, იმიტომ, რომ სხვისი მომავალი ჩემი საქმე არ არის. ერთი სიტყვით, ყველას გასაგონად ვიმეორებ: „არსენალის“ ფანებს წამით არ ვაფიქრებინებ, რომ პირდაპირ ან ირიბად „ტოტენჰემს“ ვეხმარები. სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ „სფურზის“ მწვრთნელთან, ჰარი რედნაპთან რომ ვლაპარაკობდი, მითხრა, ვიეირას ყიდვა მინდაო. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რადგან პატრიკსაც „არსენალის“ ერთგულ ადამიანად ვიცნობ. რედნაპს ვუთხარი, ვიეირას ყიდვას არაფერი სჯობს, მაგრამ თუ ის „ტოტენჰემში“ გადმოვა, გაოცებისგან პირდალებული დავრჩები-მეთქი“, - განაცხადა „ბარსელონას“ ფრანგმა ვარსკვლავმა და თავისი ძველი გუნდის ქება-დიდება განაგრძო.

კერძოდ, „მეთოფეთა“ ისტორიის საუკეთესო ბომბარდირმა თქვა, რომ „არსენალს“ პრემიერლიგის ჩემპიონობა შეუძლია, თუმცა ისიც დასძინა, რომ ამას გონებაზე მეტად გული ათქმევინებს. და იგი ლონდონელ ქომაგებს მხნეობას სთხოვს.

უკვე ორი წელიწადია, რაც „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულმა ანრიმ ლონდონიდან ბარსელონას მიაშურა, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი „მეთოფე“, მწვავედ განიცდის, რომ დიდი სახელისა და ამბიციის მქონე გუნდს აგერ უკვე ხუთი წელიწადია ჩემპიონის ტიტული არ მოუგია. ანრის ოცნებაა, მწვრთნელმა და მისმა მენტორმა, **არსენ ვენგერმა**, მის განკარგულებაში მყოფი ვარსკვლავები შეინარჩუნოს და ხანგრძლივ წარუმატებლობას ბოლოს და ბოლოს გაუმკლავდეს. არადა, ვარსკვლავების შენარჩუნების საქმე „არსენალს“ მთლად კარგად არ მიუდის, აგერ ახლახან **ემანუელ ადებაიორი** „მანჩესტერ სიტის“ მიჰყიდა და დღე-დღეზე მის კვალს შესაძლოა **კოლო ტურეც** გაჰყვეს. მაგრამ ანრი გულს არ იტეხს:

„მე კარგად ვიცნობ არსენ ვენგერის აზროვნების წესს და ვიცი, რომ მომავალ სეზონში მისი მიზანი ოთხეულში შესვლა არ იქნება. მიზანი მხოლოდ ერთი ექნება: პრემიერლიგის ჩემპიონობა! და მიუხედავად ყველაფრისა, რაც ამ ბოლო დროს „არსენალში“ ხდება, მჯერა, რომ გუნდს საჩემპიონო პოტენციალი დიახაც, აქვს. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ჩემთვის „არსენალზე“ ობიექტურად ლაპარაკი ძნელია. როდესაც მეთოფეებზე ვლაპარაკობ, გონებაზე წინ გული მოდის. რასაკვირველია, ლონდონელებისთვის ადებაიორი სერიოზული დანაკლისი იქნება, რადგან ის კარგი თავდამსხმელია და რამდენიმე გადამწყვეტი გოლიც აქვს გატანილი. მოკლედ, „არსენალს“ რთული სეზონი ელის და ამ სირთულეების ღირსეულად დაძლევისთვის საჭიროა საკუთარი შესაძლებლობები ყველამ ირწმუნოს. ხოლო, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დაზუსტებით ვიცი, ვენგერს თავისი ფეხბურთელების სწამს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე კარგად იქნება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ არსენ ვენგერი გახლავთ კაცი, რომელმაც „არსენალი“ ევროპის საფეხბურთო რუკას დააჩნია. ეს სხვას არ გაუკეთებია. ამიტომაც, ფანებმა არსენის მიღწევები და ღვაწლი არ უნდა დაივიწყონ და მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ. გასულ სეზონში ვიღაც-ვიღაცები უღირსად მოექცნენ, ეს კი ვენგერს არ დაუმსახურებია. მერწმუნეთ, კარგად მესმის ფანების. ისევე როგორც ისინი, მეც სულით და გულით „არსენალს“ ვეკუთვნი და როდესაც გუნდი ჯილდოს გარეშე რჩება, გული მტკივა. ყველა ადამიანი ყოველწლიურ წარმატებას ითხოვს და ასეთ ფონზე რამდენიმე უტიტულო წელიწადი, ძნელი გადასატანია. ამ დროს გულშემატკივარს მოთმინება ეკარგება. ამიტომ, ერთადერთი, რაც მათ ახლა შემიძლია ვუთხრა, ის არის, რომ სჯობს, მოთმინებით შეიარაღდნენ და დარწმუნდებიან, რომ ამდენხნიანი გვალვის შემდეგ გამარჯვებას სულ სხვა გემო ექნება“.

31 წლის ტიერის „არსენალის“ შემადგენლობაში 370 შეხვედრაში 226 გოლი აქვს გატანილი, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საკლუბო რეკორდია. იგი ორჯერ იყო პრემიერლიგის ჩემპიონი და სამჯერ ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი. „არსენალში“ თამაშის პერიოდში იგი სამჯერ წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ორჯერ კი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ვერსიით გახდა საუკეთესო მოთამაშე. ანრიმ პრემიერლიგაში რვა სეზონი გაატარა, რომელთაგან ოთხში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მაგრამ, მას მერე, რაც „ბარსელონას“ მიაშურა, ლონდონის კლუბის საქმეები ცუდად წავიდა.

ანრი განაგრძობს: „ვიცი, დღეისათვის „არსენალი“ უფულოდაა, ხოლო უფულოდ წარმატების მიღწევა უფრო ძნელია, თუმცა სწორი მიდგომის შემთხვევაში შეუძლებელი ნამდვილად არ არის. შეხედეთ „ბარსელონას“. გასულ სეზონში ჩვენ სამი უდიდესი ჯილდო მოვიპოვეთ და დავამტკიცეთ, რომ საკუთარი ფეხბურთელების აღზრდით, პლუს ერთი-ორი ვარსკვლავის წამომატებით დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება. ინიესტა, ჩავი, მესი, პუიოლი, პიკე და ვალდესი „ბარსას“ სკოლის აღზრდილები არიან. „არსენალიც“ იმავეს გაკეთებას ცდილობს და, ვგონებ, მიზანთან ძალიან ახლოს უნდა იყოს. ლონდონში დღეს ახალგაზრდა, მაგრამ გამოუცდელი გუნდი ჰყავთ“.

შემდეგ კი სიტყვამ „მანჩესტერ სიტი“ მოიტანა და ანრიმაც აღიარა, რომ პრემიერლიგაში უმაღლესი მიზნებისათვის ბრძოლა ახლა უფრო გაძნელდება: „მანჩესტერ სიტის“ ფანები დიდ მოლოდინში არიან და რატომაც არა? მათ საამისოდ სრული საბაბი აქვთ. დავაკვირდეთ, ვნახოთ, რას იზამენ“.

დაბოლოს, საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ: „თავს ძალა დავატანე, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რომ მეთამაშა. ექიმები ორთვიან დასვენებას მთხოვდნენ, მე კი არ დავუჯერე და ორ კვირაში მოედანზე გავედი. ფინალში ფაქტობრივად ცალი ფეხით ვთამაშობდი, მაგრამ თავს ვერ მოვერიე, ისე მინდოდა გუნდთან ერთად ყოფნა. მომავალში უფრო ფრთხილად ვიქნები“.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ფესტივალი

# ოქროს მედალი მეტოქის მამის ხათრით დაგვაკარგვინეს

ფინურ ტამპერეში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში საქართველოს სპორტული დელეგაციაც მონაწილეობდა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ოლიმპიური ჩემპიონის **დავით გობეჯიშვილის** ხელმძღვანელობით. ჩვენი ქვეყნის ნარგზავნილებმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და 1993 წლის მერე მსგავსი შეჯიბრებიდან ოქროს გარეშე პირველად დაბრუნდნენ.

— ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსგავსი ღონისძიება არსად მინახავს, — გვითხრა დავით გობეჯიშვილმა. — ეს იყო ჭაბუკ სპორტსმენთა ნამდვილი ზეიმი, რომელშიც ევროპის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დელეგაციები უნივერსიტეტის ახალაშენებულ საერთო საცხოვრებლებში განათავსეს. ათლეტებს ყოველგვარი პირობები ჰქონდათ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოეჩინათ და აქტიურადაც დაესვენათ, კომფორტულად ეგრძნოთ თავი. ყველაფერი მწვანეში იყო ჩაფლული, საკმაოდ გრილოდა.

ოლიმპიური ფესტივალის საზეიმო გახსნას ბევრი მაღალჩინოსანი დაესწრო, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგი**, რომლის ინიციატივითაც დაედო საფუძველი ჭაბუკ სპორტსმენთა ფესტივალებს, და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი **პატრიკ ჰიკი.**

ქართველები მაღალი რანგის შეჯიბრებებზე უხვ ნადავლს ვართ შეჩვეული, სამი მედალი მწირად გვეჩვენება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფესტივალის პროგრამაში უმთავრესად ისეთი სახეობები შედიოდა, რომლებშიც ბოლო წლების განმავლობაში მაინცდამაინც მაღალი შედეგებით არ გამოვირჩევით. ცხადია, ძიუდოს არ ვგულისხმობ.

როგორც წინა ფესტივალებზე, ამჯერადაც კიმონოიანების იმედი გვქონდა, განსაკუთრებით დაბალ წონებში. 55 კილოში **ლუხუმ ჩხვიმიანმა** კარგად დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ არბიტრებმა აშკარად დაჩაგრეს — ლატვიელ სპორტსმენთან დაპირისპირებისას მოგებული შეხვედრა წაართვეს. ბალტიისპირელის მამა მსაჯთა კოლეგიის წევრი ყოფილა, ამიტომ მისმა კოლეგებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართველი ფალავანი გზიდან ჩამოეშორებინათ — ორი იპონი არ ჩაუთვალეს, ლატვიელის უხეშობა არად ჩააგდეს. ერთ-ერთ მომენტში ლუხუმს ცხვირი გაეკაწრა და სისხლი წასკდა. ექიმმა სალბუნი დაადო. თუმცა მეტოქემ და მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს ტატამზე ექიმის სამჯერ გამოსაძახებლად, რის გამოც ჩხვიმიანი მოხსნეს ორთაბრძოლიდან, რომელსაც დიდი უპირატესობით იგებდა. მე და ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** ჩავერიეთ საქმეში, თხოვნით მივმართეთ მთავარ მსაჯს, აგრეთვე პატრიკ ჰიკს, თუმცა არაფერი გამოგვივიდა. ჩხვიმიანი დამამშვიდებელ ჯგუფში ჩაერთო და ბრინჯაო დაიმსახურა. არადა, ოქროს ღირსი იყო. 60 და 81 კილოში **ტულუშმა** და **რუაძემ** ფინალში იჭიდავეს, თუმცა გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს — ერთი შებოჭვაზე მოჰყვა, მეორე კი საკუთარ ფანდზე წამოეგო.

თავის მართლებად არ მინდა ჩამეთვალოს, მაგრამ ისიც ალსანიშნავია, რომ რუსებსა და თურქებს აშკარად გადაზრდილი სპორტსმენები ჰყავდათ ჩამოყვანილი შეჯიბრებაზე. ჩვენმა ძიუდოისტებმა უმთავრესად სწორედ ჩრდილოელ მეზობლებთან წააგეს.

> მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს ტატამზე ექიმის სამჯერ გამოსაძახებლად, რის გამოც ჩხვიმიანი ორთაბრძოლიდან მოხსნეს, რომელსაც დიდი უპირატესობით იგებდა.

წარმატებას ველოდით ჩოგბურთელებისგან. მით უმეტეს, რომ წინა ფესტივალზე ჩვენებმა ამ სახეობაში თითო ოქროს და ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. ფინეთში კი ჩვენები პირწმინდად დამარცხდნენ. არადა, **ნიკა დოლიძე** რამდენიმე წელიწადია, ესპანეთში სანჩესის აკადემიაში ვარჯიშობს და ტამპერეში პირველ ნომრადაც იყო განთესილი. ფესტივალზე ვერც მძლეოსნებმა და მოცურავეებმა გამოიჩინეს თავი.



დავით ხახალეიშვილი (მარცხნივ) და დავით გობეჯიშვილი ჩხვიმიანისა და ლატვიელის შეხვედრის შედეგს აპროტესტებენ

> რუსებსა და თურქებს აშკარად გადაზრდილი სპორტსმენები ჰყავდათ ჩამოყვანილი შეჯიბრებაზე. ჩვენმა ძიუდოისტებმა უმთავრესად სწორედ ჩრდილოელ მეზობლებთან წააგეს.

ფინეთში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე ერთის თქმა შეიძლება დაბეჯითებით — ბავშვთა სპორტს მეტი ყურადღება თუ არ მივაქციეთ, გავა დრო და უფროსებში საიმედო შევსება არ გვეყოლება. მეტი სასელექციო მუშაობაა საჭირო. საწყენად ნურავინ მიიღებს და ტამპერეში მყოფ ზოგიერთ სპორტსმენს ვარჯიშის როგორი პირობებიც გინდა შეუქმნა, მაღალ შედეგებს არა მგონია, მიაღწიოს.

ჭაბუკ ათლეტთა მიმართ დამოკიდებულება, საერთო ხედვა და წვრთნის სისტემა უნდა შეიცვალოს. ყველაფრის ბაზების უკმარისობაზე გადაბრალება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ამ თვალსაზრისით ინფრასტრუქტურა საგრძნობლად შეიცვალა, მოგვიმრავლდა სპორტული ნაგებობები და მოედნები. მარტო ის რად ღირს, რომ მძლეოსნებს ეროვნულ სტადიონზე უნიკალურ პირობებში შეუძლიათ ვარჯიში.

გაისად სინგაპური ახალგაზრდა სპორტსმენთა პირველ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. დარწმუნებული ვარ, იქ ბევრად უკეთესი შედეგები გვექნება. თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდებში უფრო ძლიერი სპორტსმენები გვყავს, თანაც შეჯიბრების პროგრამაში ჩვენთვის ტრადიციული სახეობებიც შედის — ძიუდო, ჭიდაობები, კრივი, ძალოსნობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ თამაშებზე ულიცენზიოდ ვერავინ მოხვდება. საამისოდ კი ნორმატივები იქნება ჩასაბარებელი, ამიტომ სინგაპურში უფრო მომზადებული ათლეტები გაემგზავრებიან და, იმედია, მედლების სიუხვითაც გაგვახარებენ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რათა ნიჭიერ სპორტსმენებს დაოსტატებაში ხელი შეუწყოს. დარწმუნებული ვართ, ჩვენი თანადგომა წარმატების საწინდარი იქნება.

ვაჟა **დანელია**

კახა ბერიძის ფოტო

> ფინეთში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, ერთის თქმა შეიძლება დაბეჯითებით — ბავშვთა სპორტს მეტი ყურადღება თუ არ მივაქციეთ, გავა დრო და უფროსებში საიმედო შევსება არ გვეყოლება.

რაგბი — საქართველოს ჩემპიონატი



ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ლელომ ლელო იტის

**ლოკომოტივი-ლელო 10:24**

ლოკომოტივი (15-9) კობერიძე, შიოშვილი, ანდღულაძე, ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე (გუგავა 67), ღვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი, ნიშნიანიძე, ოზგებაშვილი, ზარიძე, ჩიტიძე, ზ.მაისურაზე

*ლ: გენებაშვილი. გ: გუგავა. ს: კვინიხიძე.*

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, ლომაია (მანჯავიძე 74), თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) მირცხულავა (ყალიჩავა 50), ჭყონია, სუჯაშვილი (სანიკიძე 64), ჯალალონია, ვ.მაისურაძე, კოლელიშვილი (ცხოვრებაშვილი 73), სარდანაშვილი (კვერნაძე 56), აზალაძე.

*2ლ: თოდუა (2). 4ს,გ: ყიასაშვილი.*

მსაჯი. მ ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატის ორი უდავო ფავორიტის, „ლელოსა" და „ლოკომოტივის" დაპირისპირებამ მოლოდინი არ გაამართლა - დაძაბული ბრძოლა არ შედგა. ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" თასის მფლობელ „ლელოს" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 10:24 დამარცხდა.

მატჩი „ლელომ," ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში მოიგო. ლელოელებმა მოწინააღმდეგე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. ბურთს ისინი უფრო სწრაფად ათამაშებდნენ, შერკინებასა და დერეფანშიც მთლიანად დომინირებდნენ.

„ლოკომოტივი" პირველ ნახევარში მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში ერთხელაც ვერ შევიდა. ერთადერთი, რაც რკინიგზელებმა მოახერხეს, **ბობა კვინიხიძის** მიერ გატანილი საჯარიმო იყო.

„ლელო" მე-7 წუთისთვის უკვე 12:0 იგებდა. დასაწყისშივე გატანილმა ორმა ლელომ მათ უფრო თამამი, ლაღი თამაშის საშუალება მისცა. ორივეჯერ თავი „ლელოს" გარემარბმა **ალექსანდრე თოდუამ** გამოიჩინა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორივე ლელო მთელი გუნდის გააზრებული თამაშის, კარგად დამუშავებული კომბინაციის ნაყოფი იყო. ლელოელთა ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ორიდან მხოლოდ ერთის გარდასახვა შეძლო.

თუმცა მანვე მერე ოთხი საჯარიმო გაიტანა, აქედან ორი საკმაოდ შორიდან - 52 და 50 მეტრიდან. 24:3 - ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორეში რაიმე რადიკალური ცვლილება თამაშში არ მომხდარა. „ლელო" დაცვაში ყურადღებით ირჯებოდა და გააქტიურებულ „ლოკომოტივს" მოედნის ყოველი გოჯისთვის თავდადებით ებრძოდნენ.

რკინიგზელებმა თავისი მაინც გაიტანეს და 73-ე წუთზე, საკმაოდ ხანგრძლივი შეტევის შემდეგ შერკინების კვაჭმა **ლევან გენებაშვილმა** „ლელოს" ჩათვლის მოედანში შეაღწია. გარდასახვა **ლექსო გუგავამ** დაარტყა ზუსტად.

„ლელოს" საკუთარი მონაგარისთვის ალარაფერი შეუმატებია, თუმცა ამას ზედიზედ მე-10 შეხვედრის მოგებაში ხელი არ შეუშლია - 24:10. ის ერთადერთი გუნდია, ვინაც რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მოაგროვა.

**აია-ვისოლი ყოჩები 16:19**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 10 | 10 | 0 | 0 | +170 | 20 |
| 2.ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | +21 | 14 |
| 3.აკადემია | 10 | 6 | 0 | 4 | +14 | 12 |
| 4.ვისოლი ყოჩები | 10 | 6 | 0 | 4 | +28 | 12 |
| 5.ბათუმი XV | 10 | 4 | 1 | 5 | -33 | 9 |
| 6.ხარები | 10 | 2 | 1 | 7 | -68 | 5 |
| 7.აია | 10 | 2 | 0 | 8 | -12 | 4 |
| 8.უნივერსიტეტი | 10 | 2 | 0 | 8 | -8 | 4 |

ბესიკ **ჯანგავაძე**

არქივი — ამოსაცნობი ფოტო „ლელოს" არქივში



ვინ არიან ისინი, სად და როდისაა ფოტო გადაღებული? დაგვიკავშირდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ახალგაზრდული ნაკრები. B დივიზიონის გამოძახილი

# როცა დაღმართი აღმართზე მეტია

| განვლილი გზა | |
|---|---|
| საქართველო-პორტუგალია | 75:78 |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 88:53 |
| საქართველო-სლოვაკეთი | 85:67 |
| საქართველო-შვედეთი | 62:53 |
| საქართველო-ფინეთი | 59:68 |
| საქართველო-პოლონეთი | 62:71 |
| საქართველო-ავსტრია | 80:88 |
| საქართველო-ფინეთი | 75:97 |

| საქართველო | თ | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თ. შენგელია | 7 | 32 | 35/75 | 9/32 | 25/51 | 6.6 | 3.3 | 2.4 | 2.9 | 0.9 | 0.9 | 17.4 |
| ლ. შენგელია | 8 | 24.1 | 36/74 | 3/10 | 22/50 | 5.9 | 1 | 4 | 2 | 0.5 | 0.6 | 12.9 |
| მათიაშვილი | 8 | 25.3 | 33/60 | 0/1 | 21/43 | 7.1 | 1.5 | 2.3 | 2.4 | 0.1 | 0.4 | 10.9 |
| ტომარაძე | 8 | 29.8 | 11/22 | 16/43 | 13/16 | 3.3 | 0.6 | 1.6 | 1 | 1.4 | 0.1 | 10.4 |
| მეტრეველი | 8 | 26.4 | 31/53 | 1/8 | 12/20 | 5.4 | 1.4 | 2.1 | 1.3 | 0.3 | 1.4 | 9.6 |
| წივწივაძე | 8 | 31.5 | 6/16 | 9/40 | 16/25 | 4.9 | 5.5 | 1.5 | 3.4 | 1.8 | 0 | 6.9 |
| ცეკვავა | 8 | 20.5 | 4/8 | 7/24 | 4/4 | 1.9 | 1.3 | 3.6 | 1.3 | 1.3 | 0 | 4.1 |
| ჩაჩიბაია | 5 | 12.6 | 4/7 | 1/6 | 2/2 | 3.2 | 0.6 | 0.8 | 1.6 | 0.4 | 0.2 | 2.6 |
| კვეტენაძე | 3 | 3.3 | 3/4 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| მაჭავარიანი | 3 | 4.3 | 2/4 | 0/3 | 0 | 0.3 | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1.3 |
| ნანიტაშვილი | 3 | 2.7 | 0.1 | 1/4 | 0 | 0.3 | 0.3 | 0 | 0 | 0.3 | 0 | 1 |
| აბაიშვილი | 5 | 4.4 | 0.1 | 0.4 | 0 | 0.4 | 0 | 0.2 | 0.6 | 0 | 0 | 0 |

**დღეს დაპირებისამებრ, გთავაზობთ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების B დივიზიონში გამოსვლის ერთგვარ შეჯამებას. ჯერ ჩვენი გუნდის მიერ განვლილ გზაზე მოგახსენებთ, შემდეგ შემადგენლობას შევეხებით, ბოლოს გავარკვიოთ, რატომ ვერ მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონატის საგზური და, საერთოდ, ვიმსახურებდით თუ არა...**

## გზა

სამსახურში მისვლამდე ჯერ ხუთი სართულის კიბის 72 საფეხურს ჩავრბივარ, შემდეგ სამარშრუტო ტაქსში ვჯდები...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც ჯერ საკუთარი სახლის კიბის 26 საფეხური ჩაიარა (მზადებას 26 დღე მოანდომა) – საქართველოში ვარჯიშობდა. ფიზიკური მომზადების შემდეგ სპარინგ-მატჩების აუცილებლობის საკითხი დადგა, მაგრამ ახალგაზრდებს უცხოელ თანატოლებთან გაჯიბრების საშუალება არ მიეცათ. მათ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარეს საქართველოს ჩემპიონატის სახელდახელოდ შეკრებილ (მათ **ვიქტორ სანიკიძეც** დაემატათ) კალათბურთელებთან. ეს იყო და ეს. გუნდი „სადარბაზოდან" გავიდა, „სამარშრუტო" თვითმფრინავში ჩაჯდა და ტრანზიტული რეისით მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ჩაფრინდა.

იქ პირველივე მეტოქე სერიოზული გამოდგა: პორტუგალიასთან სადებიუტო წაგების ერთ-ერთ მიზეზად მგზავრობით გადაღლილობა დასახელდა.

მეორე დღეს დავისვენეთ და სენსაციის მომსწრენი გავხდით – პორტუგალიამ ლუქსემბურგთან წააგო. მესამე დღეს ლუქსემბურგს დავუპირისპირდით და იოლად დავამარცხეთ, მესამე მატჩისთვის ფორმაში შევედით და სლოვაკებს ულაპარაკოდ ვძლიეთ. შვედეთთან ჯგუფის ბოლო მატჩი ქართველთა პიკი გამოდგა. სკანდინავიელები კი დავამარცხეთ, მათთან გამარჯვება მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გადაგვყვა, მაგრამ რად გინდა – შემდეგ ფინეთთანაც ბოლო პერიოდში დავთმეთ და პოლონელებთანაც. შესაბამისად, ნახევარფინალის საგზური ჩვენი ჯგუფიდან პოლონეთმა და შვედეთმა მოიპოვეს.

დაღმართზე მდგარმა ქართველებმა საკლასიფიკაციო ორი მატჩიც წააგეს და B დივიზიონის კვალობაზე არცთუ საპატიო მერვე ადგილს დასჯერდნენ. ეს კარგი შედეგი იყო ჩვენი მოგება-წაგებების საერთო შეფარდების კვალობაზე – 3 გამარჯვება, 5 მარცხი. შინაურულად რომ ვთქვათ, სამი კილომეტრი ზემოთ ვიარეთ, ხუთი – ქვემოთ. ასეთი უსწორმასწორო გამოდგა მაკედონიური ტურნირი. ამის გამომწვევ მიზეზებზე მესამე ქვეთავში მოგახსენებთ, ახლა კი შემადგენლობას გავეცნოთ.

## შემადგენლობა: A და B დივიზიონები

კალათბურთელთა კლასიფიკაცია ნამდვილად არ მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე ყურადღების გამახვილება მიწევს: 7 კალათბურთელი საშუალოდ 20-დან 31 წუთამდე თამაშობდა, დანარჩენი ხუთი – იშვიათად. სამ მოთამაშეს სულაც 3 მატჩი აქვს ჩატარებული. მოკლედ, მწვრთნელი მათ მხოლოდ იმ ეპიზოდებში ენდობოდა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. საყურადღებოა, რომ ამ ხუთიდან სამი უკანახაზელი გახლავთ.

ბოლო ქვეთავი პრობლემებით რომ არ დავტვირთოთ, ჩვენეული ვერსიით მათი უთამაშებლობის მიზეზებზე აქ მოგახსენებთ.

პირველი მიზეზი მათი გუნდთან შეუთამაშებლობა იყო. ნაკრებს მაკედონიაში წასვლამდე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა რომ ჩაეტარებინა, მწვრთნელი თორმეტივე კალათბურთელს გამოცდიდა, ყველას თავის ადგილს მიუჩენდა და შემადგენლობას მოარგებდა. ეს საქმე უშუალოდ B დივიზიონის მატჩების მსვლელობისას ვერ გამოვიდოდა. მეორე მიზეზი გამოუცდელობა იყო – **აბაიშვილს, ნანიტაშვილს, მაჭავარიანსა** და **კვეტენაძეს** მანამდე მსგავსი დონის ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ფინეთთან და პოლონეთთან განსაკუთრებით უკანა ხაზში გაგვიჭირდა და ასეთ დროს მწვრთნელი გამოუცდელებს უბრალოდ ვერ ენდო. მეორე მხრივ, შეუცვლელად მოთამაშე **ბექა წივწივაძეს** დიდი ჯაფა დაადგა და სწრაფ მეტოქეებთან მარტო გამკლავება გაუჭირდა (**ლევან ცეკვავა** ფინეთთან მატჩის შემდეგ მოედნიდან 0 ქულითა და 5 ფოლით გამოვიდა, ხოლო პოლონეთთან ამდენივე ქულითა და 4 ფოლით).

ბექა წივწივაძე საბოლოოდ ლიგის საუკეთესო მეპასე გახდა – საშუალოდ 5.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

მსროლელის პოზიციაზე **კოკა ტომარაძე** თამაშობდა, რომელმაც ქართველთაგან ყველაზე მეტი სამქულიანი ჩააგდო – 16.

მსუბუქი ფორვარდის ამპლუაში გუნდის სნაიპერი **თორნიკე შენგელია** გვყავდა. მან საჯარიმოები მეტად დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ისროლა (25 51-დან), თუმცა ქართველების ბომბარდირი გახდა, ხოლო ტურნირის სნაიპერთა დავაში მეექვსე იყო – 17.4 ქულა.

მძიმე ფორვარდის პოზიციაზე **ლევან შენგელია** თამაშობდა, რომელიც ნაკრების ვიცე-სნაიპერი გახდა – 12.9 ქულა. იგი ფიზიკურად მეტად ღონიერია, შეიძლება, ზოგი დაუმსახურებელი ფოლიც მიიღო და 8-დან 4 მატჩი ხუთი ჯარიმით დაასრულა. ფოლების რაოდენობით, ლევანი B დივიზიონში მეორე იყო.

სასტარტო ცენტრი **ნიკა მეტრეველი** გახლდათ, თუმცა როცა მოედანზე **რიჩარდ მათიაშვილი** გამოდიოდა, ნიკა მძიმე ფორვარდად გადადიოდა. იგი საშუალოდ 9.6 ქულას აგროვებდა, რაც მისი მონაცემების კალათბურთელისთვის დაბალი მაჩვენებელია.

**რიჩარდ მათიაშვილი** თავიდან სათადარიგო იყო, თუმცა, ბოლოს სასტარტო შემადგენლობის წევრად იქცა და ორ მნიშვნელოვან მატჩში (პოლონეთთან და ფინეთთან) 44 ქულა მიითვალა. რიჩარდი საქართველოს ნაკრების საუკეთესო მომხსნელი გახდა – 7.1 მოხსნა.



## სიტყვით გაფუჭებული მოსავალი

2005 წელს საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში უნგრეთთან წააგო. სწორედ მაშინ დავწერე: საქართველოს ახალგაზრდული გუნდის ადგილი A და B დივიზიონების საზღვარზეა – ელიტარულ 10 გუნდს ბევრად ჩამოვრჩებით, ხოლო B ლიგის აუტსაიდერ ათეულს ბევრად ვჯობივართ-მეთქი.

რეალობა დღესაც ასეთია – მაკედონიაში ხომ ცხრა გუნდი მოვიტოვეთ. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ – ასეთია საქართველოს ნაკრების საერთო შესაძლებლობა, თორემ 4-5 კალათბურთელი შეიძლება მუდმივად ევროპის ჩემპიონატზე თამაშს იმსახურებდეს.

სამწუხაროდ, საქართველოში კალათბურთელთა ზრდისთვის იმაზე ნაკლები პირობებია, ვიდრე დასავლეთში. ნაკრების ოთხი ლიდერი ლეგიონერი გახლდათ: თორნიკე შენგელიამ ესპანეთში გააუმჯობესა თამაში, ლევან შენგელიამ – ლიტვაში, კოკა ტომარაძემ – ესპანეთში, ხოლო ნიკა მეტრეველმა – იტალიაში. საქართველოში საკუთარ თავზე ბევრი მუშაობით პროგრესირებენ ბექა წივწივაძე და რიჩარდ მათიაშვილი... მივიღეთ ექვსი კალათბურთელი, რომელთა კისერზეც B დივიზიონის მატჩებმა გადაიარა.

ამ ექვსეულმა შეუთამაშებლობის და მგზავრობით დაღლილობის გამო პირველი მატჩი წააგო, შემდეგ თამაშიდან თამაშამდე ფორმაში შევიდა, ლუქსემბურგს სლოვაკეთი და შვედეთი მიაყოლა და რატომღაც დაგვაჯერა, რომ ელიტის საგზურის მოპოვება რეალური იყო. მაგრამ ვინც დავიჯერეთ, ვერ განვსაზღვრეთ, რომ 6-7 კალათბურთელით ყოველდღიურად მოთამაშე გუნდი ზედიზედ 7 თამაშს ვერ მოიგებს. უბრალოდ, ენერგია არ ეყოფა. ასე დაემართა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს – ზედიზედ სამი თამაში მართლაც დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ მეტი ვერ შეძლო, თითქმის პიკამდე მისული ქვემოთ დაგორდა. შვედეთთან მატჩის შემდეგ ჯერ ფინეთთან დავთმეთ ბოლო პერიოდი (9:17), შემდეგ - პოლონეთთან (11:19). ეს, პირველ რიგში, გადაღლილობის ბრალი იყო. არადა, მათგან ერთ-ერთი მაინც რომ მოგვეგო, ნახევარფინალში გავდიოდით.

ელიტაში ვერ მოხვედრის მიზეზი ისევ და ისევ ფინეთ-პოლონეთის მატჩებმა დაგვანახვა – შემადგენლობა არათანაბრად იყო დაბალანსებული. წინა ხაზში ლევან შენგელია, თორნიკე შენგელია, ნიკა მეტრეველი და რიჩარდ მათიაშვილი თამაშობდნენ. შეიძლება, სწორედ ტანმაღლებში არსებული სერიოზული კონკურენციის გამო შეეზღუდა სათამაშო დრო მძიმე ფორვარდ **ტატო ჩაჩიბაიას**. ქულათა უმეტესობა სწორედ ზემონახსენებ ოთხ კალათბურთელზე მოდის. მათი წყალობით, მოხსნების მიხედვით ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავდა: საერთო ჩათვლაში მხოლოდ სლოვაკეთს ჩამოვრჩით. სლავები საშუალოდ 38.4-ჯერ ხსნიდნენ, ჩვენ – 37-ჯერ. საყურადღებოა, რომ ურთიერთშეხვედრაში სლოვაკებს მოხსნებში აშკარად ვაჯობეთ – 41:32.

...მაგრამ მხოლოდ ტანმაღლებმა მოსავალი ვერ მოიწიეს. პერიმეტრიდან პოლონეთმა და ფინეთმა დაგვსეტყვეს და ამიტომაც დავრჩით უნობათოდ. თავად განსაჯეთ: პოლონელებთან ერთი სამქულიანიც ვერ ჩავაგდეთ, საკუთარ კალათში 6 მივიღეთ. ფინეთმა კი 12 შორეული ტყორცნა გამოიყენა. სხვა მაგალითებს აღარ მოვიყვანთ, ისედაც ცხადია, რომ უკანა ხაზში პრობლემები გვქონდა. კოკა ტომარაძესა და ბექა წივწივაძეს თითქმის შეუცვლელად უწევდათ თამაში...

მწვრთნელის განსჯა დღეს მართებული არ იქნება, რადგან, ჯერ ერთი – მას მოსამზადებლად არასათანადო პირობები ჰქონდა და მეორე – მაკედონიაში ნაკრების თამაშებს არ დავსწრებივარ და ძნელია სტატისტიკის მიხედვით მწვრთნელის ავ-კარგზე ლაპარაკი. დღეს მხოლოდ ელიტაში ვერგასვლის ძირითად მიზეზებზე ვთქვით.

გაისად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ისევ ითამაშებენ ნიკა მეტრეველი, ბექა წივწივაძე, კოკა ტომარაძე, ლევან შენგელია...

**ვაჟა სიმონიშვილი**

რუბრიკის პრემიერა

ზარი ჩემპიონთან



## მზია ჯუღელი

„ლელოს" ახალი რუბრიკა ფორმატით ლაკონიურია. ტელეფონით შევეხმიანებით ჩემპიონს და ვთხოვთ, გვიპასუხოს რამდენიმე შეკითხვაზე.

რუბრიკის მეშვეობით მკითხველი შეიტყობს, დღეს როგორ ცხოვრობენ ჩვენი ჩემპიონები, რას განიცდიან, რა აწუხებთ, რა სურთ...

რაკი მხოლოდ ოლიმპიონიკია მარადიული ჩემპიონი, გადავწყვიტეთ, რუბრიკა სწორედ „უკვდავთა" მოკითხვით დაგვეწყო. თუ დაწყებაა, ბარემ პირველით დავიწყოთ, თანაც ქალბატონით. რუბრიკის დებიუტში შეგახვედრებთ საქართველოს ქალთაგან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, ქალბატონ მზია ჯუღელს.

**- დილა მშვიდობისა, ქალბატონო მზია. თქვენ ბრძანდებით „ლელოს" ახალი რუბრიკის პირველი სტუმარი, როგორ გიკითხოთ...**

- დიდი მადლობა, რომ გამიხსენეთ. თუმცა "ლელო" არავის არასოდეს ივიწყებს. ჯანმრთელობით ახლა არა მიშავს. მუხლის მკურნალობის პირველი პროცედურა ჩავამთავრე.

**- შორს ნუ წავალთ, გუშინდელმა დღემ როგორ ჩაიარა?**

- შინ ხელოსნებმა შეკვეთილი კარადის დამონტაჟება დაამთავრეს. ჩემი სპორტული ცხოვრების ფოტოებს და ჯილდოებს კედლებზე ველარ ვატევდი. ახლა კი ბინა ნამდვილ მუზეუმს დაემსგავსა.

**- დღეს და ხვალ რას გეგმავთ?**

- დილაადრიან ბაზარში ვიყავი. ვიყიდე ყველაფერი, რაც ჩემებს უყვართ. ხვალ გამთენიისას ლონდონიდან ჩამოდიან ჩემი შვილიშვილი და შვილთაშვილები.

**- დროს ძირითადად შინ ატარებთ?**

- დიახ.

**- ყველაზე ხშირად ვის ახსენდებით?**

- ჩემებს. ლონდონიდან თითქმის ყოველდღე მირეკავენ. ბავშვებს ძალიან უყვართ საქართველო. ჩამოსვლის წინ დღეებს ითვლიან ხოლმე. ხშირად მეხმიანებიან ოლიმპიელი კოლეგები - რობერტ შავლაყაძე, რაფო ჩიმიშკიანი, გალინა შარაბიძე, ქეთინო ლოსაბერიძე, აგრეთვე რუსიკო სიხარულიძე ამერიკიდან, ნანა მეყანწიშვილი მალაიზიიდან, არ მივიწყებენ საერაშორისო ფედერაციიდან. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

**- თქვენ შორეულ 1952 წელს გახდით ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში და დარჩით ერთადერთი საქართველოსთვის. როგორ ფიქრობთ, გამოჩნდება მემკვიდრე?**

- მეეჭვება.

**– რატომ?**

- პირობები არ არის. ჩემი ცრემლებით აშენებული დარბაზი სანაპიროზე ყველა მსურველს ვერ იტევს. თანამედროვე ინვენტარიც არასაკმარისია. არის სხვა პრობლემებიც.

**- დარბაზს, რამდენადაც ვიცით, თქვენი სახელი მიანიჭეს...**

- გამოაცხადეს, მაგრამ ოფიციალური საბუთი მე არ მინახავს. შენობაზე არც აბრა გამოუკრავთ.

**- 1 აგვისტოს თქვენი და ქეთევან ლოსაბერიძის დაბადების დღეა. ორივეს გილოცავთ.**

- დიდი მადლობა ყურადღებისთვის...

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**

*P.S. მკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ დაუსვან ჩემპიონებს შეკითხვები, რასაც აუცილებლად გავაცნობთ რესპონდენტს, როცა ის ჩვენი რუბრიკის სტუმარი იქნება.*

*დაგვიკავშირდით „ლელოს" მეორე გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებებით. შემდეგ შეხვედრას ქეთევან ლოსაბერიძესთან ვგეგმავთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპორტულ-გამაჯანსაღებელი



# ლამაზი საქმე: ლამაზი თაობა ლამაზ ხეობაში

სპორტის ცნობილი მესვეურის, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ **გივი ხაჩიძის** ორგანიზებით აფხაზეთში (კინდღში) წლების განმავლობაში არსებობდა ამ ინსტიტუტის კუთვნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. საომარი მოქმედებების შემდგომ გორელები, ბუნებრივია, კინდღის ბანაკს ველარ გამოიყენებდნენ. ორიოდე წლის წინათ ბატონმა გივიმ სპორტული ბანაკის ასამოქმედებლად ატენის ხეობაში შეარჩია საუკეთესო ადგილი. თუმცა ერთხანს ჩანაფიქრის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. წლეულს კი რეგიონის გუბერნატორის, **ლადო ვარძელაშვილის** მხარდაჭერით სურვილი რეალობად იქცა. სამწუხაროდ, ბატონი გივი თავად ველარ მოესწრო მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნამონყების ხორცშესხმას. საქმე გორის უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის ხელმძღვანელმა **სოსო ვაშაკიძემ** და **ზაზა ნულაიამ** მიიყვანეს ბოლომდე. ატენის ულამაზეს ხეობაში ამ დღეებში ამოქმედებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს სწორედ გივი ხაჩიძის სახელი ენოდა. ბანაკისთვის კარვები და ინვენტარი საქართველოში გაეროს წარმომადგენლობამ საჩუქრად გადასცა სტუდენტებს. პირველი კონტინგენტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დევნილი სტუდენტებისგან შეკრიბა. სექტემბრამდე აქ კიდევ რამდენიმე ნაკადს უმასპინძლებენ.

*„მიგვაჩნია, რომ უაღრესად სასიკეთო საქმე გაკეთდა. ხეობაში თავადაც ვიყავი და უშუალოდ ვნახე, ახალგაზრდები როგორ აქტიურად არიან ჩაბმულნი სპორტში. არის კეთილმოწყობილი მოედნები სპორტის რამდენიმე სახეობის მოყვარულთათვის. ამას წინათ საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან და გამორიცხული არაა, მომავალში ატენის ხეობაში ორი სასწავლებლის სტუდენტებიც ვიხილოთ ჩართული სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ინვესტიციის ჩადების შემთხვევაში კი აქ გაცილებით კომფორტული, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი ბანაკის მოწყობა შეიძლება. მაგრამ მიზეზთა გამო ეს მომავლის საქმეა. სამაგიეროდ, პრეზიდენტის ფონდმა გამოხატა მხარში ამოდგომის სურვილი. მალე რეალურ მხარდაჭერასაც ველით“* — განაცხადა ჩვენთან საუბარში გორის უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა **ზაზა ცოტნიაშვილმა**.

**ვასილ ბალახაძე**
ატენის ხეობა
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# უბილავა ისევ და სწრაფად თამაშობს

ესპანეთის ქალაქ ვილიარობლედოში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართა. 122 მონაწილეს შორის გახლდათ ქართველი დიდოსტატი **ელიზბარ უბილავა**, რომელიც დიდი ხანია, ესპანეთში ცხოვრობს და უმთავრესად სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა. 2005 წლამდე იგი ინდოელ მსოფლიოს ჩემპიონ **ვიშვანათან ანანდს** ავარჯიშებდა. ვილიარობლედოში უბილავამ 9 შესაძლებლიდან 6 ქულით მეთერთმეტე-ოცდამეცხრე ადგილები გაიყო. 7,5 ქულით პირველი ადგილი გერმანელმა დიდოსტატმა **არკადი ნაიდიჩმა** დაიკავა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს **ალექსანდრ გრიშჩუკმა** (რუსეთი), **ალექსეი მოისეენკომ** (უკრაინა) და **ალექსეი შიროვმა** (ესპანეთი), რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მეთხე ადგილები გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

# მერვე ადგილი იკმარა

საბერძნეთის ქალაქ პალეოხორაში დამთავრდა მოჭადრაკეთა მე-2 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 100-ზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობდა, მათ შორის - 23 დიდოსტატი და 26 საერთაშორისო ოსტატი. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის იყვნენ ქართველი დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **ნიკოლოზ მანაგაძე**.

მე-8 ტურში გელაშვილმა შავი ფიგურებით ლატვიელი **ვიესტარს მეიერსი** დაამარცხა, გუშინ ბოლო ტურში კი თეთრებით გერმანელ **იგორ გლეკს** დაუზავდა. ასევე, ყაიმით დამთავრდა ლიდერთა ჯგუფის შეხვედრები: **მაქსიმ ტუროვი** (რუსეთი)-**იური კრივორუჩკო** (უკრაინა), **ანდრეი რიჩაგოვი** (რუსეთი)-**ხრისტოს ბანიკასი** (საბერძნეთი), **ევგენი ვორობიოვი** (რუსეთი)-**ადამ ტუხაევი** (უკრაინა), ხოლო რუსმა **ევგენი ნაჯერმა** რუმინელ **მირჩეა პარლიგრასს** მოუგო, ფრანგმა **რობერტ ფონტენმა** კი ლუქსემბურგელ **ალბერტო დავიდს** სძლია.

ამდენად, 9 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, ნაჯერმა და ფონტენმა გაიყვეს. 11-მა დიდოსტატმა ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა, მათ შორის - თამაზ გელაშვილმა, რომელმაც უარესი კოეფიციენტით საბოლოოდ მე-8 ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ მანაგაძემ მე-8 ტურში ბერძენ **იოანის სტავრიანაკისს** აჯობა, ხოლო მეცხრეში რუს **ირინა ტუროვას** ყაიმზე შეუთანხმდა და შეჯიბრება მოასპარეზეთა დიდ ჯგუფთან ერთად 6 ქულით დაამთავრა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველმა ქართველს აჯობა: ურეიტინგომ ფავორიტს

ასეთ შემთხვევას ქართულ ტურნირშიც იშვიათად ნახავთ - ყაზახეთის ძველ დედაქალაქ ალმათიში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $), რომლის ძირითად ბადეში ერთბაშად 6 ქართველი მოხვდა. ბუნებრივია, როცა ბადეში ერთი ქვეყნის ამდენი წარმომადგენელია, იმის შანსიც დიდია, რომ ისინი ერთმანეთს კორტზე გადაეყარონ. პირველივე ეტაპზე ერთი ასეთი, ჩვენი აზრით, საინტერესო დაპირისპირების მომსწრენი გავხდით - მე-7 ნომრად განთესილი 20 წლის **სოფიო შაფათავა** (285) ერთი წლით უფროს **თათია მიქაძეს** დაუპირისპირდა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში საერთოდ არ არის.

შაფათავა მესამე ასეულშია და ხანდახან WTA-ს ტურნირების საკვალიფიკაციო ბადეშიც თამაშობს, მიქაძეს კი წელიწადნახევრიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა. სამწუხაროდ, ჩვენში ყველა ჩოგბურთელს არ შეუძლია საერთაშორისო ტურნირებზე აქეთ-იქით სიარული, არადა, მიქაძე ჯერ კიდევ 4 წლის წინათ მიუახლოვდა საუკეთესო ხუთასეულს. საჩოგბურთო ტალანტი რომ გააჩნია, თათიამ ყაზახეთშიც დაამტკიცა და თანამემამულეს სამ სეტში მოუგო - 6:3, 2:6, 6:2. სხვათა შორის, ეს მათი მესამე დაპირისპირება იყო და მიქაძე მეორედ გამოვიდა გამარჯვებული. მოკლედ, თათია მიქაძე მერვედფინალშია, სადაც კიდევ ერთ ურეიტინგო ქართველს, **სოფიკო შარანგიას** შეხვდება, თუკი ეს უკანასკნელი შეძლებს მე-8 ნომრად განთესილი **აგნეშ სატმარის** (რუმინეთი, 275) დამარცხებას.

17 წლის **ეკა გორგოძე** (510) ნიჭიერი, მაგრამ ძალზე არასტაბილური ჩოგბურთელია. ეს მან კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა პირველ ეტაპზე 16 წლის ტაჯიკ **ანასტასია პრენკოსთან** (721) მარცხით - 6:7 (0), 6:1, 2:6. მე-3 ნომრად განთესილ **ოქსანა კალაშნიკოვას** (228) და **სოფიო ქვაცაბაიას** (528) ერთეულთა თანრიგის მატჩები ჯერ არ გაუმართავთ.

კალაშნიკოვა რუს **ელენა ჩალოვასთან** (223) ერთად წყვილებში პირველ ნომრად განთესეს. როგორც ფავორიტებს შეეფერებათ, მათ პირველი ეტაპი (უზბეკი **რაჰმანოვას** და რუსი **ზახაროვას** წინააღმდეგ) იოლად დაძლიეს - 6:1, 6:1. მეოთხედფინალში ისინი უზბეკურ-ტაჯიკურ დუეტს (**აზიმოვა, პრენკო**) შეხვდებიან. სხვა ქართველები წყვილთა ბადეში ჯერ არ ჩაბმულან. აქ კიდევ ერთი ქართული დაპირისპირება გველის - შაფათავასა და რუსი **ელინა გასანოვას** დუეტი ქვაცაბაიასა და **ავგუსტა ციბიშევას** ეთამაშება. იმედია, როდესაც ტურნირში ამდენი ქართველი მონაწილეობს, უტიტულოდ არ დავრჩებით ერთეულთა და წყვილთა თანრიგშიც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სოფიო შაფათავა

ჭიდაობა

პრესკონფერენცია


ვაჟა კრავეიშვილი შეგირდებთან
ფოტო სპორტის დეპარტამენტის ვებგვერდიდან

# ჭაბუკების გამოსვლა შეაფასეს

ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკ მოჭიდავეთა გამოსვლა შეაფასეს გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში. შეგახსენებთ, რომ სერბულ ზრენჯანინში ჩვენმა „თავისუფლებმა“ 4 მედალი მოიპოვეს და გუნდურში მეორეზე გავიდნენ, ბერძენ-რომაელებმა - 6, რასაც გუნდური მესამე ადგილიც ემატება. პირველთა წილად 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოდის, მეორეებმა კი 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო ირგუნეს.

გუშინდელ პრესკონფერენციას მხოლოდ ბერძენ-რომაელები ესწრებოდნენ, რომელთაგანაც ჩემპიონი **ფირუზ წულუკიძე** (58) გახდა, ვიცე-ჩემპიონები - **შმაგი ბოლქვაძე** (42), **ლაშა დოლიძე** (76), **დავით ჩაკვეტაძე** (85) და **გიორგი ხაბაშვილი** (100), ბრინჯაო კი **ამირან შავაძემ** (46) მოიპოვა. ცხადია, მათი თავკაცი **ვაჟა კრავეიშვილი** შედეგით კმაყოფილია. უკმაყოფილო არც სხვაა ვინმე, მაგრამ ოთხი წაგებული ფინალის გამო გარკვეული სინანული კრავეიშვილსაც ეტყობოდა და სხვებსაც. მწვრთნელმა გადამწყვეტ შეხვედრაებში ამდენი მარცხი უმეტესწილად გადაზრდილ მეტოქეებს დააბრალა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში. მაგალითად, რუს **ალან დრიაევთან** ხაბაშვილის მარცხი იმით ახსნა, რომ მასთან წლეულს რუსთავში, **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის ტურნირზე წააგო და ახლა ფსიქოლოგიურად დათრგუნული ჭიდაობდა - წაგებას წინასწარ შეეგუაო. მწვრთნელი განიცდიდა დოლიძის მარცხსაც, თუმცა აქ მაინც გადაზრდილებამდე მივიდა - რუსი **მახმუდ ბაშიევი** ხიდზეც კი გადაუყვანია, მაგრამ ასაკით უფროსი მაინც გაქცევია... ბაშიევს აშკარად ეტყობოდა, უფროსი რომ იყოო, თუმცა დოლიძის და ჭანკვეტაძის ტაქტიკურ შეცდომებზე კრავეიშვილმაც მიუთითა და სერბეთში მწვრთნელად და მსაჯად წასულმა **ზაზა ჯიბლაძემაც**. აზერბაიჯანელ **ელმარ მუხტაროვთან** დასანანი წაგების მიუხედავად, მწვრთნელმა გუნდის ყველაზე მჩატე და უმცროსი წევრი - ბოლქვაძეც შეაქო და შავაძეც. აღსანიშნავია, რომ შავაძემ პირველ შეხვედრაში ბულგარელ **ნიკოლაი ვიჩევს** მოუგო, ვინც ივლისის დასაწყისში თბილისში გამართულ ახალგაზრდების ევროპირველობაზე ვერცხლი მოიპოვა. ბოლოს კი ჩემპიონი წულუკიძე, რომელმაც სეზონი ქვედა წონაში - 54-ში დაიწყო, მაგრამ რაკი ზედმეტი წონა აწუხებდა, 58-ში გამოცადეს და მშვენიერი შედეგიც მიიღეს. ცხადია, რომ არც კრავეიშვილს და არც სერბეთის ტურნირზე ნამყოფ სხვა მწვრთნელებსა თუ მსაჯებს მის გამოსვლაზე ცუდი არაფერი დასცდენიათ.

კრავეიშვილმა ისიც სიხარულით აღნიშნა, რომ გაისად ამ შემადგენლობას ლამის უცვლელად შეინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, ასაკის გამო ახალგაზრდებში არავინ გადადის და რომელიმე კონკურენციას თუ ვერ გაუძლებს, მით უკეთესი ნაკრებისთვის. არადა, გაისად ჭაბუკებს მნიშვნელოვანი სეზონი ელოდებათ - შავი ზღვის აუზის თამაშები, მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადა, მსოფლიო პირველობა...

ეს ჩემპიონატი სამსაჯო თვალსაზრისითაც საინტერესო იყო, რადგან საკვალიფიკაციო ქულებსაც იძლეოდა და მსაჯთა სემინარიც ჩატარდა. მასში ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი **მალხაზ ჯორბენაძეც** მონაწილეობდა, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდები. იმედია, საერთაშორისო ფედერაცია უახლოეს სხდომაზე რანგსაც მოუმატებს.

**ირაკლი თავაძე**

სუმო

# კოკაი კისერმა დაადალატა

ორი დღეა, რაც ნაგოიაში წლის მე-4 ბაშო დასრულდა, რომელშიც 28 წლის **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ცუდად იასპარეზა და ბაშო 5-10 ბალანსით დაასრულა. ჩვენებურმა 3-0 ბალანსით დაიწყო და შემდეგი 12 ორთაბრძოლიდან 10 დათმო. წარუმატებლობის მიზეზი კისრის ტრავმა ყოფილა, კოკაის კისერი ხშირად აწუხებს, რომლის სრულ მორჩენას 2-3-თვიანი სარებილიტაციო პერიოდი სჭირდება, ამდენი ხანი, რომ ჩვენებურმა იუქმოს, მას ელიტიდან დააქვეითებენ. ასე რომ, ის იძულებულია ტრავმირებულმა იასპარეზოს დოჰიოზე. სექტემბრის ბაშოსთვის კოკაი იმდენად დაბალი რეიტინგით გამოვა ელიტაში, რომ ტურნირზე გამოუცხადებლობა მას მაკუუჩის დივიზიონს დააშორებს. სხვათა შორის, ორივე ხელის ტრავმით იასპარეზა **ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი)**, რომელმაც მაინც შეძლო 9-6 ბალანსით ბაშოს დასრულება.

სუმოს ახალი რეიტინგი ტოკიოში 31 აგვისტოს გამოქვეყნდება, ხოლო სექტემბრის სუპერტურნირი (აკი ბაშო) 13-27 სექტემბერს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


კოკაი

რაგბი. მსოფლიო თასი



მარტინ ტომასი და ნობორუ მაშიმო

# გადაწყდა, ინგლისი-2015, იაპონია-2019

IRB-ის შტაბბინაში გამართულ საბჭოს სხდომაზე, საკმაოდ ხანგრძლივი და დაძაბული დებატების შემდეგ, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ 2015 წელს მსოფლიოს თასის გათამაშებას ინგლისი უმასპინძლებს, ხოლო 2019 წლის გათამაშების მასპინძლობის უფლება იაპონიას ერგო.

იაპონელებმა მასპინძლობის სურვილზე განაცხადი ზედიზედ მეორედ გააკეთეს. მათ საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები ჯერ კიდევ 2011 წლის გათამაშების მასპინძლის შერჩევისას წარმოადგინეს. თუმცა მაშინ IRB-მ კოჭი ბობოლა სარაგბო ქვეყანა ზელანდიას გაუგორა.

ზელანდიელებს მსოფლიოს თასისთვის ავსტრალიელებთან ერთად უნდა ემასპინძლათ 2003 წელს. მაგრამ, მაშინ ოზებმა იმდენი „იჩალიჩეს", რომ კივებს მთლიანად წაჰგლიჯეს ოვალური ბურთით თამაშის უდიდესი ფორუმის მასპინძლობის უფლება. მერე IRB-ის სხვა რაღა დარჩენოდა და იაპონიასთან პაექრობაში ზელანდიას ვალი დაუბრუნა.

აზია რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშებას პირველად უმასპინძლებს. არადა ეს ქვეყანა თუნდაც ახლავე მზადაა ტურნირს უმაღლეს დონეზე უმასპინძლოს. მსოფლიოს რაგბის მამებმა კი აწონ-დაწონეს და მასპინძლობის უფლება კიდევ რვა წლით გადაუვადეს. IRB-ში მიაჩნიათ, რომ ამომავალი ზღვის ქვეყანაში მსოფლიოს თასის გამართვას მაქსიმალური ეფექტი, როგორც სპორტული ისე ფინანსური თვალსაზრისით, სწორედ 2019 წელს ექნება.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ იაპონელებმა რაგბის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაციის მიზნით, გარკვეული რაოდენობის შეხვედრების გამართვა ჰონგ კონგსა და სინგაპურს ანდეს.

ზელანდიის შემდეგ ოვალური ბურთის მსოფლიო დიდოსტატების თავშეყრის ადგილი ისევ ევროპა იქნება. ინგლისი 2015 წელს მსოფლიო თასის ისტორიაში ყველაზე ლამაზ, კარგად ორგანიზებულ და წარმატებულ გათამაშებას გვპირდება.

„თვიქნემთან" ერთად მსოფლიოს თასის შეხვედრებს ისეთი ცნობილი სტადიონები უმასპინძლებენ, როგორიცაა „ენფილდი", „ოლ ტრეფორდი", „ემირიტსი", „უემბლი" და სხვა.

*„ჩვენ რაგბის ნამდვილ ფესტივალს მოვაწყობთ. მოლოდინს არავის გავუწბილებთ, არც ქომაგებს, არც მონაწილეებს და არც IRB-ის ხელმძღვანელობას, რომელმაც დიდი ნდობა გამოგვიცხადა და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ორგანიზების უფლება მოგვანიჭა"*- თქვა ინგლისის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ფრენსის ბერონმა.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისს დიდი სპორტის ათწლეული ელოდება. წლეულს ინგლისელებმა კრიკეტის მსოფლიოს ჩამპიონატს უმასპინძლეს. 2010 წელს აქ მსოფლიოს თასის გათამაშება გაიმართება მორაგბე ქალთა შორის. 2012 წელს ლონდონი ოლიმპიადას უმასპინძლებს. 2013 წელს რაგბი ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებს გაუწევენ ორგანიზებას. ერთი წლის შემდეგ ინგლისს თანამეგობრობის თამაშები ეწვევა. კიდევ ერთ წელიწადში, როგორც უკვე ვთქვით რაგბის მსოფლიო თასის გათამაშება გველის. ამასთან, ინგლისს განაცხადი აქვს შეტანილი 2018 წელს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის თაობაზე. საკმაოდ შთამბეჭდავი სიაა. ვერაფერს იტყვი.

ბოლოს დავსძენთ, რომ ინგლისში მსოფლიოს თასის ორგანიზება წინასწარი მონაცემებით 2,1 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაჯდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. სამი ერი

# პინარი და დეფილიერსი ითამაშებენ

შაბათს, პირველ აგვისტოს სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრები სამი ერის გათამაშებაში მორიგ შეხვედრას ზელანდიის ნაკრებთან შინ გამართავს. „ბოკეს" საწვრთნელი შტაბიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ წინა შეხვედრაში დაშავებულმა **რუან პინარმა** და **ჟან დეფილიერსმა** სამედიცინო შემოწმება გაიარეს. ორივეს მსუბუქი დაზიანება აღმოაჩნდა და მომავალ მატჩში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ.

ტრავმები მოიშუშეს ასევე **ადრიან იაკობსმა, ბისმარკ დუპლესისმა** და **ანდრეს ბეკერმა.**

შეგახსენებთ, რომ ბლუმფონტეინში მიღწეული გამარჯვების შემდეგ სამხრეთ აფრიკის ნაკრები მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილზე გადაბარგდა. ზელანდია, რომელიც კვალიფიკაცია, გასული წლის 18 აგვისტოდან ლიდერობდა, ახლა მეორეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA

# ოკაფორი კრის პოლთან წავიდა





გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი გაცვლა განხორციელდა. „ნიუ ორლეანმა" და „შარლოტმა" ცენტრები გაუცვალეს ერთმანეთს. გარიგების თანახმად, **ტაისონ ჩენდლერი** „ბობკეტსში" გადავიდა, ხოლო „ჰორნეტსმა" მის სანაცვლოდ **ემეკა ოკაფორი** მიიღო.

ამ გაცვლის შედეგად, „ნიუ ორლეანი" დაახლოებით მილიონ დოლარს დაზოგავს. ამ კლუბს მომდევნო სამი წლის განმავლობაში 40 მილიონის გადახდა მოუწევს ოკაფორისთვის. „ბობკეტსს" კი მომავალ სეზონში 11.7 მილიონი დაუჯდება ჩენდლერს სამსახური.

■ ■ ■

მეორე გაცვლა „მინესოტასა" და „ოკლაჰომა სიტის" შორის განხორციელდა. „მგლებმა" „ოკლაჰომას" მიმართულებით ცენტრი **ეთან ტომასი** გაუშვეს, სანაცვლოდ კი ორი კალათბურთელი - გამთამაშებელი **ჩაკი ეტკინსი** და შემტევი მცველი **დამიენ უილკინსი** მიიღეს. გარდა ამისა, „ოკლაჰომას" ერგო 2010 წლის დრაფტის მეორე რაუნდში ორი კალათბურთელის არჩევის უფლება.

ტომასი „მინესოტაში" ერთი თვის წინ, „ვაშინგტონიდან" ასევე გაცვლის შედეგად გადავიდა. სწორედ ამის შემდეგ მიიღეს „მგლებმა" დრაფტში მეხუთე ნომერი და ესპანელი **რიკი რუბიო** აირჩიეს. კარიერაში ტომასის საშუალო სტატისტიკა 6.0 ქულასა და 4.9 მოხსნას უდრის. უილკინსისა და ატკინსის საშუალო შედეგიანობა კი 7.6 და 10.2 ქულას შეადგენს.

■ ■ ■

საინტერესო გაცვლას ამზადებს 2008 წლის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი". NBA-ის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „ნიუ ჯერსი ნეტსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს და მას ფორვარდ **გლენ დევისს** სთავაზობს. სანაცვლოდ, „სელტიქსი" ჩინელი თავდამსხმელის **იი იანლიანის** გადაბირებას ვარაუდობს.

ადრეც იყო ცნობილი, რომ „ნეტსი" დევისის მიმართ დაინტერესებას გამოხატავდა. გარდა ამისა, ეს კალათბურთელი „სან ანტონიოსა" და „იუტასაც" სურდა, მაგრამ „სპურსმა" თავისი რიგები **ანტონიო მაკდაესით** შეავსო, „ჯაზმა" კი ფორვარდი **პოლ მილსეპი** შეინარჩუნა.

**გია თვალაბეიშვილი**

ევრობასკეტი 2009

# ბრიტანეთი დენგისა და გორდონის გარეშე

## ტონი პარკერმა ტრავმა მიიღო

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ლუოლ დენგმა**, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე ვერ შეძლოს გამოსვლა. გუშინ კი საბოლოოდ დადასტურდა, რომ ბრიტანეთი პოლონეთში არამარტო დენგის, არამედ თავისი მეორე ლიდერის **ბენ გორდონის** გარეშე ითამაშებს.

*„მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ნაკრებში დავიწყე გამოსვლა, ამოცანად უმაღლესი მიზნების დაპყრობა დავისახე. თითქოს, ამ სიტუაციაში უფლება არ მაქვს პოლონეთში არ გავემგზავრო, მაგრამ ასეთია ცხოვრება. ეს გადაწყვეტილება ჩემი ჯანმრთელობის სასარგებლოდ მივიღე. მით უმეტეს, რომ მაინც ვერ შევძლებდი ევრობასკეტზე 100 პროცენტით თამაშს"*, - განაცხადა დენგმა FIBA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. „ჩიკაგოს" ფორვარდი ფეხის მოტეხილობის შემდეგ კვლავაც აღდგენით პროცესს გადის.

როცა დენგმა ტრავმა მიიღო და ევროპის ჩემპიონატზე მისი გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ბრიტანელთა სამწვრთნელო შტაბს იმედი ჰქონდა, რომ გუნდს ევრობასკეტზე „ჩიკაგოდან" „დეტროიტში" გადასული **ბენ გორდონი** დაეხმარებოდა. მაგრამ ამ ფორვარდმა განაცხადა, რომ სურს უკეთ მოემზადოს NBA-ის მორიგი სეზონისთვის და ამის გამო ნაკრებში არ გაემგზავრება. ბრიტანეთა დამრიგებელმა **კრის ფინჩმა** აღნიშნა, რომ გორდონისთვის ნაკრების კარი ყოველთვის ღია იქნება.

■ ■ ■

ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება საფრანგეთის ნაკრები, რომელიც კინაღამ თავისი ლიდერის **ტონი პარკერის** გარეშე დარჩა. „სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელმა ავსტრიასთან საწვრთნელ შეხვედრაში მოწინააღმდეგესთან შეჯახებისას აქილევსის მყესისა და ბარძაყის ტრავმა მიიღო. როგორც გაზეთი „ეკიპი" იუწყება, პარკერმა თამაშის მე-12 წუთზე ყავარჯნებით დატოვა მოედანი.

როგორც თავად კალათბურთელმა განაცხადა, სამედიცინო გამოკვლევამ საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინა. *„საქმე გვაქვს მხოლოდ კუნთის მსუბუქ დაჭიმვასთან"*, - თქვა პარკერმა.

**გია თვალაბეიშვილი**

კრივი

# WBA-ს ერთი ჩემპიონი ჰყავს



უზბეკ მძიმეწონოსან **რუსლან ჩაგაევს** WBA-ის (მსოფლიოს საკრივო ასოციაცია) „დროებითი არამოქმედი" ჩემპიონის ტიტული ჩამოერთვეს. ასე რომ, ამ ვერსიით ერთადერთ ჩემპიონად რუსი **ნიკოლაი ვალუევი** უნდა ჩაითვალოს.

ჩაგაევი WBA-ის ჩემპიონი 2007 წელს გახდა, როცა ვალუევის დამარცხება მოახერხა. 2008 წელს უზბეკი ვალდებული იყო ტიტული დაეცვა რუს მოკრივესთან ბრძოლაში, მაგრამ ჩხუბი ორჯერ ჩაგაევის ტრავების გამო გადაიდო. საჩემპიონო ტიტული ვაკანტურად გამოცხადდა და მას ვალუევი დაეუფლა. ჩაგაევს კი WBA-მ „დროებითი არამოქმედი" ჩემპიონის (champion in recess) სტატუსი მიანიჭა.

2009 წლის მაისისთვის კიდევ ერთხელ დაინიშნა ჩხუბი ჩაგაევსა და ვალუევს შორის, მაგრამ უზბეკს B ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც რუსმა რინგზე ასვლა არ ინება. ის უკრაინელმა **ვლადიმირ კლიჩკომ** შეცვალა, რომელმაც ჩაგაევი ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა.

ახლა ვალუევი WBA-ის ერთპიროვნული ჩემპიონია და ტიტულის დაცვას 2009 წლის 7 ნოემბერს, ინგლისელ **დევიდ ჰეისთან** ბრძოლაში აპირებს.

**გია თვალაბეიშვილი**

# კიდევ ერთი უბედური შემთხვევა

21 წლის ამერიკელი მოკრივე **ფრანსისკო მონსივაისი** კვირას გამართული ბრძოლიდან ერთი დღის თავზე გარდაიცვალა. იმ ჩხუბში ახალგაზრდა მოკრივემ ნოკაუტით წააგო თავის თანამემამულე **ბობი ო'ბენონთან.** მონსივაისი ორშაბათს გარდაიცვალა, მაგრამ მისი სიკვდილის ამბავი მხოლოდ ორი დღის შემდეგ გახდა ცნობილი.

ბრძოლა ოთხრაუნდიანი იყო და ფრანსისკო ნოკაუტში ბოლო რაუნდში ჩავარდა. ვებგვერდ boxrec.com-ის ცნობით, პირველ რაუნდში მეტოქეები მორიგეობით აღმოჩნდნენ ნოკდაუნში. ბრძოლის შემდეგ, უგონო მდგომარეობაში მყოფი მონსივაისი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის 26 ივნისს გარდაიცვალა.

დაღუპული მოკრივისთვის ეს სულ მეორე ბრძოლა იყო პროფესიულ რინგზე. პირველად მან 2009 წლის აპრილში იჩხუბა და პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# რეკორდების წვიმა გრძელდება

ცურვა სპორტის უნიკალური სახეობაა. ძნელად თუ მოიძებნება სხვა ისეთი სახეობა, რომელიც ბოლო წლებში ასეთი ტემპით პროგრესირებდეს. ის შედეგები, რომელიც ადრე დაუჯერებელი გვეჩვენებოდა, დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლის საშუალებასაც არ იძლევა. ცურვის პროგრამის პირველ ორ დღეს მსოფლიოს 11 (!) რეკორდი დამყარდა. ეს იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ის უფრო გვიკვირს, როცა ესა თუ ის გაცურვა მსოფლიოს რეკორდის გარეშე სრულდება.

მეორე დღე კაცებს შორის 100 მეტრზე ბრასის ფინალით გაიხსნა და პირველი რეკორდი სწორედ აქ ვიხილეთ. ავსტრალიელმა **ბრენტონ რიკარდმა** ნახევარფინალში მესამე დრო აჩვენა, სამაგიეროდ, ფინალში მთელი დისტანცია ლიდერობდა და ლეგენდარული იაპონელის **კოსუკე კიტაჯიმას** მიერ პეკინის ოლიმპიადაზე დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. აქამდე რიკარდს მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ჯამში ხუთი მედალი ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ უმაღლესი სინჯისა არც ერთი ყოფილა. ასე რომ, ეს ავსტრალიელის პირველი დიდი გამარჯვებაა კარიერაში. აღსანიშნავია, რომ ფინალში ძალიან მაღალი ტემპი იყო და კიტაჯიმას რეკორდი მეორე ადგილზე გასულმა ფრანგმა **უგო დუბოსკმაც** გააუმჯობესა.

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ორი ახალი ვარსკვლავი დაიბადა. პირველია 15 წლის შვედი **სარა სიოსტრიომი**, რომელმაც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვის ნახევარფინალში გაგვაკვირვა, როცა ცნობილი ჰოლანდიელის **ინგე დე ბრუინის** რეკორდი გააუმჯობესა. ბუნებრივია, სკანდინაველი ფინალის ფავორიტად მოინათლა და მან გაამართლა კიდეც ეს სტატუსი. თანაც თავის რეკორდს კიდევ 38 მეასედი წამი ჩამოაკლო. არადა, სიოსტრიომმა ცუდი სტარტი აიღო და დიდი ხანი დისტანციას ავსტრალიელი **ჯესიკა შიპერი** ლიდერობდა. ის შვედს ნახევარ კორპუსს უგებდა, მაგრამ სარამ ფენომენალური ფინიშის წყალობით, პირველმა დაასრულა დისტანცია.

სიოსტრიომი მეორე შვედი ქალია ისტორიაში, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო მოიგო. პირველად ამ ქვეყანას გამარჯვება **ტერეზ ალშამარმა** 2007 წლის ჩემპიონატზე (50 მეტრი ბატერფლაი) მოუტანა.

შვედი მოცურავის შედეგი (ზედიზედ ორი რეკორდი და ოქროს მედალი) გაიმეორა 20 წლის ამერიკელმა **არიანა კუკორსმა**. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მას უძლიერესი კონკურენტი ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონის, ავსტრალიელი **სტეფანი რაისის** სახით. აქვე იყო ცნობილი ზიმბაბველი **კირსტი ქოვენთრი**. ამ უკანასკნელმა სამეულში შესვლა ვერ მოახერხა, რაც შეეხება რაისს, ის ასი მეტრი უძალიანდებოდა ამერიკელს, მაგრამ კუკორსმა უსწრაფესი ტემპი აკრიფა და მისი დაწევა შეუძლებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ არიანამ წინა დღეს დამყარებულ საკუთარ რეკორდს თითქმის ერთი წამი ჩამოაკლო.

ერთადერთი ფინალი, რომელმაც რეკორდის გარეშე ჩაიარა, კაცებში 50 მეტრი ბატერფლაი იყო. აქ ფინალს ორი ფავორიტი ჰყავდა - სერბი **მილორად კავიჩი** და ესპანელი **რაფაელ მუნიოსი**, რომელმაც წელს აპრილში დაამყარა ამ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდი. ფავორიტის სტატუსი კავიჩმა გაამართლა და კარიერაში პირველი ოქრო მოიგო, მუნიოსი მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა.

კავიჩი, ალბათ, ყველას ახსოვს პეკინის ოლიმპიადიდან, სადაც 100 მეტრზე ბატერფლაიში კინაღამ **მაიკლ ფელპსი** დაამარცხა. მაშინ სერბმა ლეგენდარულ ამერიკელთან წამის ერთი მეასედი წააგო. მილორადი ისტორიაში შევიდა იმით, რომ სერბეთს პირველი ოქრო მოუტანა მსოფლიოს ჩემპიონატებზე.



კიდევ ორი რეკორდი ნახევარფინალებში დამყარდა. ამერიკელი **რებეკა სონი** გახდა პირველი ქალი მოცურავე ისტორიაში, ვინც 100 მეტრი ბრასი წუთსა და 5 წამზე ნაკლებ დროში დაფარა და ავსტრალიელი **ლიზელ ჯონსის** რეკორდი გააუმჯობესა. რუსმა **ანასტასია ზუევამ** კი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში აჩვენა ყველა დროის საუკეთესო შედეგი.

დღის მთავარი სიურპრიზი ამერიკელმა **აარონ პირსოლმა** შემოგვთავაზა, რომელმაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალში ვერ გააღწია. მოქმედმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა 8 ივლისს, ამერიკის ჩემპიონატში ამ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, მაგრამ ამჯერად მეცხრე შედეგი აჩვენა და რვა საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა.

**კაცები**

**100 მ. ბრასი**

1. **ბრენტონ რიკარდი** (ავსტრა) - 58.58 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **უგო დუბოსკი** (საფ) - 58.64 (+0.06); 3. **კამერონ ვან დერ ბურგი** (ს. აფრ) - 58.95 (+0.37).

**50 მ. ბატერფლაი**

1. **მილორად კავიჩი** (სერ) - 22.67; 2. **მეტიუ ტარჯეტი** (ავსტრა) - 22.73 (+0.06); 3. **რაფაელ მუნიოსი** (ესპ) - 22.88 (+0.21).

**ქალები**

**100 მ. ბატერფლაი**

1. **სარა სიოსტრიომი** (შვედ) - 56.06 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ჯესიკა შიპერი** (ავსტრა) - 56.23 (+0.17); 3. **ლიუაინ ჟიაო** (ჩინ) - 56.86 (+0.80).

**200 მ. კომპლექსური**

1. **არიანა კუკორსი** (აშშ) - 2:06.15 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **სტეფანი რაისი** (ავსტრა) - 2:07.03 (+0.88); 3. **კატინკა ჰოშუ** (უნგ) - 2:07.46 (+1.31).

# ჯიბუტელი მოცურავეები დაიკარგნენ

„ფოლო ოლიმპიკოზე" ცურვის პროგრამა ორი დღეა მიმდინარეობს, მაგრამ მასში მონაწილეობას არ იღებენ აფრიკის სახელმწიფო ჯიბუტის მოცურავეები. ამ ქვეყნის ნაკრების წევრები **ჰასან აჰმედ ჰარბი** და **ჰუმედ ჰასან ალი** ორშაბათს დაიკარგნენ. იტალიური პოლიცია ამაოდ ეძებს სპორტსმენებს. სავარაუდოდ, ჯიბუტელმა მოცურავეებმა იტალიაში არალეგალურად დარჩენა გადაწყვიტეს.

28 ივლისს, დილით, ჰარბის მონაწილეობა უნდა მიეღო 50 მეტრზე ბრასით ცურვის წინასწარ გაცურვაში, მაგრამ ის სტარტზე არ გამოცხადდა. ალის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჰქონდა შეტანილი განაცხადი.

როგორც სააგენტო „როიტერი" იხსენებს, ამა წლის ივნისში, ხმელთაშუა ზღვის თამაშების დროს, რამდენიმე აფრიკელმა მოცურავემ თავისი ქვეყნის ნაკრები მიატოვა. ეს ტურნირი იტალიის ქალაქ პესკარაში მიმდინარეობდა.




ველოსპორტი

# ლენსი გუნდს აგროვებს

როგორც ცნობილია, ამერიკელი **ლენს არმსტრონგი** დიდ სპორტში დარჩენასა და საგაისოდ საკუთარი ველოსაჯინიბოს ჩამოყალიბებას აპირებს. ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონს ძლიერი შემადგენლობის შეკრება სურს და ამ მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებს ლუქსემბურგელ **ენდი შლეკთან**, რომელმაც წლევანდელ ტურზე მეორე ადგილი დაიკავა.

მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ენდის სურს, რომ მასთან ერთად არმსტრონგის გუნდში მისი ძმა - **ფრენკ შლეკიც** გადავიდეს. ლეგენდარულ ამერიკელს კი მიაჩნია, რომ ფრენკი თავის უმცროს ძმას პროგრესში უშლის ხელს.

მეორე ადგილის გარდა, ენდი შლეკმა ტურის საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლის ტიტული მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **III საკვ. I მატჩები** | |
| აქტობე-მაკაბი (ჰ) | 0:0 |
| ბაქუ-ლევსკი | 0:0 |
| სპარტა-პანათინაიკოსი | 3:1 |
| ანდერლეხტი-შივასი | 5:0 |
| **ევროპის ლიგა** | |
| **III საკვ. I მატჩები** | |
| ბნეი იეჰუდა-ფერეირა | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იუვენტუსი-სეონგნამი | 3:0 |
| რეალი-ლიგა დე კიტო | 4:2 |
| ფრაიბურგი-მეცი | 1:2 |
| კარლსრუე-ხეტაფე | 2:2 |
| ვერდერი-ვალენსია | 2:2, პენ. 2:4 |
| დენ ბოში-ბოლტონი | 1:2 |
| აკრინგტონი-ბარნლი | 2:2 |
| კრ. პალასი-ნორვიჩი | 0:1 |
| ინვერნესი-დანდი იუნ. | 1:3 |
| მაკლსფილდი-ჰადერსფილდი | 0:3 |
| მენსფილდი-უოლსოლი | 3:1 |
| ნორთჰემპტონი-უენსდი | 0:2 |
| ჰერეფორდი-როვერსი | 1:2 |
| პრესტონი-უიგანი | 1:4 |
| უნივერსიტი-ჰემილტონი | 1:2 |
| მაინცი-დორტმუნდი | გადაიდო |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| აუე-ინგოლშტადტი | 1:0 |
| ვეენი-დინამო (დ) | 0:1 |
| ბაიერნი A-უნტერჰახინგი | 1:1 |
| დორტმუნდი A-ბრაუნშვაიგი | 0:0 |
| ოსნაბრიუკი-ვერდერი A | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სიოგნდალი-კონგსვინგერი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მიალბიუ-ნორჩოპინგი | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| უოტერფორდი-ფინ ჰარპსი | 4:0 |

**წყალბურთი**

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები. 1/4 ფინალი** | |
| უნგრეთი-სერბეთი | 8:8, დ.დ. 1:2 |
| ხორვატია-რუმინეთი | 7:5 |
| ესპანეთი-კანადა | 11:4 |
| აშშ-გერმანია | 8:5 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. გშტაადი** | |
| ნავარო-დუსტოვი | 7:6, 4:6, 6:2 |
| შარდი-ასკიონე | 6:3, 6:3 |
| კიფერი-აკასუსო | 7:6, 6:2 |
| ჰანესკუ-მინარი | 6:2, 6:2 |
| ვასალო არგელო-სერა | 3:6, 2:6 |
| ბენეტო-ბოლი | 7:6, 7:5 |
| მატიო-დანიეი | 6:7, 6:7 |
| ვავრინკა-დელ ბონისი | 6:4, 7:5 |
| **ATP. ლოს ანჯელესი** | |
| ისნერი-ბეკერი | 7:6, 7:6 |
| გულბისი-ლუ | 7:5, 6:2 |
| **ATP. უმაგი** | |
| ჟილი-როიტმანი | 7:5, 6:2 |
| ფონინი-ზვერევი | 2:6, 6:3, 6:4 |
| ფერერო-კ. როხუსი | 6:2, 6:3 |
| მელცერი-დაბული | 6:3, 7:5 |
| ბოლელი-რამირეს იდალგო | 7:6, 3:6, 6:0 |
| კუევასი-დოდიგი | 6:3, 6:1 |
| სეპი-ჩელა | 6:4, 2:6, 6:3 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| კერბერი-ჟიდკოვა | 6:2, 6:3 |
| ფოგელი-უ. რადვანსკა | 2:6, 6:7 |
| მედინა გარიგესი-იაკიმოვა | 6:4, 6:2 |
| გეორგესი-ზეჩ პესკარიჩი | 6:2, 6:3 |
| დუშევინა-ფედაკი | 6:1, 6:4 |
| პეტკოვიჩი-ზახვალოვა | 6:1, 6:2 |
| შნიდერი-დე ლოს რიოსი | 6:7, 6:2, 3:6 |
| ჰრადეცკა-ბუიუქაქჩაი | 4:6, 6:3, 6:0 |
| ზვონარევა-კორიტცევა | 2:6, 6:1, 4:6 |
| შვედოვა-ძეჰალევიჩი | გადაიდო |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ჰანტუხოვა-ვოზნიაკი | 6:4, 4:6, 7:5 |

TV პროგრამა

**29 ივლისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:15** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
**08:05** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
**09:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ინტერი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლე მანი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.
**18:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
**20:00** სასტვენი.
**20:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
**23:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
**00:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
**03:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
**05:00** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**06:00** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**06:05** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
**08:15** ფიგურული სრიალი. გრანპრი. ფინალი. იტალია.
**10:00** პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
**10:20**.დროთა კავშირი.
**10:25** გოლფი. წესები და პრაქტიკა.
**10:30** ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული. 2006 წელი. პიტსბურგ სტილერსი-სიეტლ სიჰოქსი.
**13:30** პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
**13:45** გოლფი. წესები და პრაქტიკა.
**13:50** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. 1/4 ფინალი. ესპანეთი-კანადა. რომი. იტალია.
**14:50** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. რომი. იტალია.
**17:25** კალათბურთი. ევროლიგა. სეზონის საუკეთესო მატჩები. ცსკა (რუსეთი)-მონტეპასკი (იტალია).
**19:40** პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
**19:55** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:30** მძლეოსნობა.
**23:15** ჰოკეი. NHL. სეზონის საუკეთესო მატჩები. ფილადელფია-პიტსბურგი.
**01:35** დროთა კავშირი.
**01:40** ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი. ბერგამო (იტალია)-დინამო (რუსეთი).
**04:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. 1/2 ფინალი. რუსეთი-კანადა. რომი. იტალია.
**05:00** დროთა კავშირი.
**05:20** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**05:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია.

**EUROSPORT**

**10:30** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მონ-სენ-ანი. კანადა.
**11:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
**13:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
**15:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
**16:00** ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი". ტელეჟურნალი.
**16:30** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. მონაკო.
**18:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
**19:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** მულტისპორტი.
**22:05** ცხენოსნობა. ერთა თასი. ბრიტანეთი.
**23:05** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:10** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:20** გოლფი. ევროპის ტური.
**00:45** გოლფ-კლუბი.
**00:50** აფროსნობა. რეგატა Match Cup. პორტუგალია.
**01:20** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:40** ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი". ტელეჟურნალი.
**02:05** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია.
**03:00** სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან ბენედეტო. იტალია.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-ნორვეგია. მაინჰედი. ბრიტანეთი.
**14:30** ახალი ამბები.
**15:30** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მონ-სენ-ანი. კანადა.
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. უკრაინა-შვეიცარია. უკრაინა.
**17:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIX ტური. კაშიმა-კაშივა.
**18:15** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-პორტუგალია. მაინჰედი. ბრიტანეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** სპიდვეი. მსოფლიოს თასი. დანია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ბელარუსი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
**23:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ესპანეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
**00:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
**01:30** ახალი ამბები.

ფორმულა 1

# შუმახერი ბრუნდება?

## ფელიპე მასას სავარაუდო შემცვლელთა სიაში ფერნანდო ალონსოც შედის

ლეგენდარული გერმანელი პილოტი **მიხაელ შუმახერი**, შესაძლოა, ფორმულა 1-ში დაბრუნდეს და ტრავმირებული **ფელიპე მასას** ადგილი დაიკავოს.

"ფერარისა" და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის წარმომადგენლებმა არც უარყვეს და არც დაადასტურეს ეს ინფორმაცია. *"ამ ეტაპზე არასწორი იქნებოდა დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიცემა"*, - განაცხადა იტალიური საჯინიბოს სპორტულმა დირექტორმა **სტეფანო დომენიკალიმ**.

BBC-ის ინტერვიუ მისცა შუმახერის პრესმდივანმა **საბინა კემმა**. მისი განცხადებით, გერმანელი პილოტი მზად არის განიხილოს ფორმულა 1-ში დაბრუნების შესაძლებლობა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ "ფერარისგან" შესაბამისი შეთავაზება იქნება. თუმცა კემმა ისიც განაცხადა, რომ შუმი მოტოციკლით განცდილი ავარიის შემდეგ ჯერაც ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა.

*"ყველაფერი "ფერარიზეა" დამოკიდებული. თუ ისინი მიხაელს მიმართავენ, ის განიხილავს იტალიელთა წინადადებას. ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის შეკითხვებს შემდეგნაირად ვპასუხობ: შუმი მსგავსი შეთავაზებებით არ არის დაინტერესებული და ის ბედნიერია თავისი ამჟამინდელი ცხოვრებით. მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა და მიხაელს არ სურს დისკუსიაში ჩართვა.*

*თებერვალში შუმახერი მოტოციკლით სერიოზულ ავარიაში მოყვა და კისერი დაიზიანა. არ ვიცი, მისცემს თუ არა ეს ტრავმა მას ფორმულა 1-ის ბოლიდით რბოლის საშუალებას. მას შეუძლია სცადოს დაბრუნება, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შუმი უკვე 40 წლისაა"*, - ამბობს კემი.

უკანასკნელად მიხაელ შუმახერი ფორმულა 1-ის ბოლიდზე 2008 წლის აპრილში იჯდა, როცა "ფერარის" ახალ მანქანას ჩაუტარა ტესტირება.

თუ იტალიურ და გერმანულ პრესაში თვლიან, რომ შუმახერი შეიძლება დაბრუნდეს "ფერარის" რიგებში, ესპანეთში მიაჩნიათ, რომ მასას ადგილის დაკავების ყველაზე რეალური შანსი "რენოს" პილოტ **ფერნანდო ალონსოს** აქვს. ამაში არსებობს გარკვეული ლოგიკა: თეორიულად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მართლაც შეუძლია შემდეგ რბოლაში ბრაზილიელი პილოტის შეცვლა. ვალენსიაში "რენო" ვერ შეძლებს გამოსვლას, რადგან დისკვალიფიცირებულია, შესაბამისად, ევროპის გრან-პრისთვის ალონსო თავისუფალი იქნება.

*"თუ "რენო" ალონსოს გაუშვებს, ხოლო "ფერარი" დათანხმდება ესპანელი პილოტის სამსახურს, ეს საინტერესო ვარიანტი იქნებოდა ფორმულა 1-სთვის"*, - ამბობს "დიდი ცირკის" მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი**.

*"ძალიან კარგი იქნება, თუ ალონსოს "ფერარის" ბოლიდის საჭესთან ვიხილავთ*, - იმავეს ფიქრობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ნიკი ლაუდა**. - *"სკუდერიამ" აუცილებლად უნდა სცადოს ესპანელის გადაბირება. ამ ნაბიჯით მოგებული დარჩება "ფერარი", ესპანეთი, ალონსო და მთლიანად ფორმულა 1"*.

მიუხედავად ამისა, მსგავსი სცენარის განხორციელება არც ისე მარტივი იქნება. ლაუდას აზრით, ბევრი რამ "რენოს" შეფ **ფლავიო ბრიატორეზე** იქნება დამოკიდებული. ფერნანდოს მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს ფრანგულ საჯინიბოსთან და ამ გუნდის სპონსორებთან გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნია.

სხვა კანდიდატურებიც სახელდება - **ნიკო ჰიულკენერგი**, "ტორო როსოდან" დათხოვილი **სებასტიან ბურდე**, "რენოს" მეორე პილოტი **ნელსინიო პიკე**, რომელსაც ფრანგული საჯინიბოდან გაშვებას უპირებენ... გუშინ ამ სიას დაემატა იტალიური ფორმულა 3-ის 19 წლის პილოტი **მირკო ბორტოლოტი**, რომელიც ერთხელ მონაწილეობდა "ფერარის" ტესტებში და ფიორანოს ტრასაზე სარეკორდო დრო აჩვენა.

გარდა ამისა, "ფერარის" ორი ტესტპილოტი ჰყავს - **მარკ ჟენე** და **ლუკა ბადოერი**, თუმცა მათი გვარები ყველაზე იშვიათად სახელდება. ასე რომ, სჯობს "ფერარის" ოფიციალურ განცხადებას დაველოდოთ. როგორც დომენიკალი გვპირდება, ამ საკითხს მომავალ კვირას მოეფინება ნათელი.

■ ■ ■

ამასობაში, ფელიპე მასას მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ბრაზილიელი კომიდან გამოიყვანეს, ის უკვე ესაუბრა ოჯახის წევრებს და ექიმებმა ისიც განაცხადეს, რომ "ფერარის" პილოტმა, შესაძლოა, 10 დღეში დატოვოს ბუდაპეშტის სამხედრო ჰოსპიტალი.

რაც შეეხება სპორტული კარიერის გაგრძელებას, ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ გაურკვევლობაა. ბრაზილიელ პილოტს მარცხენა თვალი ისე აქვს დაზიანებული, რომ შესაძლოა, ველარ შეძლოს ტრასაზე გასვლა. ფელიპე "ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** მოინახულა. მისი თქმით, სიტუაცია დამაიმედებელია. მართალია, მასას მომავალ კარიერას ყველამ ხაზი გადაუსვა, მაგრამ პრეზიდენტი ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი მოახერხებს რბოლებში დაბრუნებას.

იგივე აზრი გამოთქვა ფელიპეს მეუღლე **რაფაელამ**: *"ის მოახერხებს ბოლომდე გამოჯანმრთელებას და ტრავმის მოშუშებას. სულ მალე, ფელიპე ისევ გაახარებს გულშემატკივრებს თავისი წითელი ბოლიდის საჭესთან"*.



ექსტრემალური სპორტი







# 56 მეტრი თავისუფალი ვარდნა

ექსტრემალმა ნიჩბოსანმა **ტაილერ ბრადტმა** სიცოცხლე გარისკა იმისთვის, რომ 56.6-მეტრიანი ჩანჩქერიდან გაფრენილიყო.

22 წლის ამერიკელმა ნავით ყველაზე მაღალი ჩანჩქერიდან გადმოხტომის რეკორდი დაამყარა. ამისთვის მან დასავლეთ ვაშინგტონში პალუსის ჩანჩქერი აირჩია.

ნახტომი სულ 3.7 წამი გაგრძელდა და ნავის ვარდნის მაქსიმალურმა სიჩქარემ საათში 160.9 (!) კილომეტრი შეადგინა. როდესაც წყალქვეშ გაუჩინარებულმა ბრადტმა ექვსი წამის შემდეგ ამოყვინთა, მას ხელში გატეხილი ნიჩაბი ეჭირა. ეს არ იყო ერთადერთი "ფიზიკური დაზიანება", რომელიც ამ ექსტრემალურ ნახტომს მოჰყვა. ნიჩბოსანმა მაჯა იღრძო.

*"ამ ჩანჩქერის შემხედვარე, ეს უმნიშვნელო ტრავმაა. არც კი მახსოვს, ტკივილი ვიგრძენი თუ არა. ჩემი სხეული შოკში იყო"*, - თქვა ამერიკელმა ნახტომის შემდეგ.

წინა რეკორდი ბრაზილიელ **პედრო ოლივიას** ეკუთვნოდა. რამდენიმე კვირის წინ მან სამშობლოში სალტო ბელოს ჩანჩქერიდან 38.7 მეტრი იფრინა.

ამ ნახტომისთვის მოსამზადებლად ბრადტი რამდენჯერმე ესტუმრა პალუსის ჩანჩქერს და წყლის მოძრაობა შეისწავლა. სწორედ ამ დროს შეარჩია მან იდეალური მარშრუტი.

ნახტომის წინ ამერიკელს ბევრი აკრიტიკებდა იმისთვის, რომ მისი მაგალითი სხვებისთვის გადამდები იქნებოდა, რაზეც ბრადტმა უპასუხა: *"პირიქით, მინდოდა ყველასთვის დამენახვებინა, თუ რამდენად სახიფათოა ჩანჩქერიდან ნავით დაშვება"*.

ბრადტის წინა პირადი რეკორდი 32-მეტრიანი ჩანჩქერიდან გადმოხტომა იყო. 2007 წელს მან კანადაში ჰეი რივერის მდინარეზე ალექსანდრას ჩანჩქერიდან იფრინა.

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge